# საქართველო

მიიღება განცხადებები

სტრიქონი პეტიტი 1-ლ გვერდზე 4 მანეთი მე-4-ე გვერდზე—3 მანეთი. გარეშე ცნობები შეთანხმებით სტრიქონზე არა ნაკლებ 6 მან.
სამგლოვიარო განცხადება—120 მან. 30 სტრიქონის. ორი საათის შემდეგ სტამბაში 150 მან.

გაზეთის გამოწერა ერთი წლით 1000 მან. შეიძლება ნაწილ-ნაწილად გადახდა.
6 თვით 600 მ., 3 თვით 300 მან.
კანტორა ღიაა 9 ს.—3 ს. და სად. 5—7 ს. უქმე-დღეებში კანტორა დაკეტილია.
კანტორის ტელეფ. 15—73.

ყოველდღიური გაზეთი? ... 

ჩვეულებრივ მეექვსე | პარასკევი. თებერვლის 13 1920 წ. № 32 | ფასი 4 მან.

რევაზ გიორგის ძე შალიბაშვილი, იულია დავითის ასული და ალექსანდრე გიორგის ძე მახატლები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ შაბათს 14 თებერვალს დილის 12 საათზე გორში ოქონის ეკლესიაში იქნება გადახდილი ორმოცის წირვა და პანაშვიდი უდროოთ გარდაცვალებულის პირველის დაუვიწყარი მეუღლისა, მეორის საყვარელი შვილის და მესამის ძვირფასი დის.

**ნინა შალიბაშვილის**

სულის მოსახსენებლად. 2835—1—1

**სახელმწიფო თეატრი**

ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით.
დღეს, თებერვლის 13-ს
მ. დავიდოვას მონაწილეობით „ვერტერ"



**ქიმერიონი**

ქართველ მწერალთა კლუბი
(რუსთაველის პრ., 21, ყოფ. „ანონა")
ორშაბათს, თებერვლის 9-ს
ახალი პროგრამა:
1. გასოციალიზებული ევგენი ონეგინი
2. მხატვარი (იუმორისტ. კვარტეტი).
3. კინო პაროდია gitanette danse და სხ
ყოველ დღე საათის 1—5 ს.-დე სადილი.
თებერვლის 10-დან ბლინები.

**ქართული კლუბი**

კვირას, 15 თებერვალს, 1920 წ. დანიშნულია
კლუბის წევრთა
**წლიური საზოგადო კრება**

კრების საგანია:
1) 1919 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
2) 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
3) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4) კლუბთან არსებულ კოოპერატივის და საურთიერთო დახმარების კასსის დებულებათა და ინსტრუქციების დამტკიცება.
5) კლუბის სახელობის სტიპენდიების დებულების დამტკიცება.
6) მამასახლისების და მათი კანდიდატების არჩევნები.
7) სარევიზიო კომისიის წევრების და მათი კანდიდატების არჩევნები.
8) კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა არჩევნები.
9) მიმდინარე საკითხები.

კრება კლუბის წესდების 31 მუხ. ძალით კანონიერად ჩაითვლება რა მცირე წევრთა რიცხვიც უნდა გამოცხადდეს, როგორც მეორედ დანიშნული.
5 3—2



ცირკი „კრისტენს"
ვერის დაღმართზე. ტელ. 5-62.
პარასკევს, თებერვლის 13-ს 1920 წ. გაიმართება არტისტიული წარმოდგენა მონაწილეობენ: სახელგანთქმული ა. მატვეი და თბილისელი კინტო გ. მესტიევი.

პირველი ხარისხოვანი ფრანგული ჭიდაობის გაგრძელება კვიატკოვსკის ხელმძღვანელობით იქ დაიბენ: გამოჩენილ საქართველოს ფალავანდის სანდრო კანდელაკის შეხვედრა ნეიზვესტნიხთან.
კანდელაკი—ნეიზვესტნი ორი მებრძოლი გენჯა ალი - სტარაშვილი ძალა და მოქნილობა ერმაკოვი—ოლეინიკოვი
ანონსი, ამ დღეებში გასტროლი გამოჩენილ ადამიანი—აკვარიმის—მ რ ბორტონის. თვალი ადევნეთ აფიშებს.
წარმოდგენის დასაწყისი 8 ნახ. ს. ჭიდაობის 10 ნახ. ს.
გამგე ი. უ. იურიევი.

მიხეილის
**ალკრე**
პლეხანოვის ქუჩა, 91.
მხოლოდ სამი დღით თებერვლის 13, 14, 15-ს პირველად თბილისში იდგმება მხატვრული კინო-დრამა
**კურტიზანკას ბრჭყალებში**
დასასრულ კომიკური
ყოველ დღე სიმფონიური ორკესტრი. დასაწყისი 5 ნახ. ს.

კვირას თებერვლის 15-ს დილის 11 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტში დანიშნულია ყველა ფაკულტეტების
**ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტთა არა ჩვეულებრივი**
**კ რ ე ბ ა**
კრებას დაესწრება მთავარ კომიტეტის ერთ-ერთი წევრი.
სტუდენტთა და ახალგაზრდათა მთავარი კომიტეტი.

**კ. ფ. კალატნიკოვის**
**ბუღალტერიის პრაქტიკულ კურსებზე**
ახალ ჯგუფის მეცადინეობა დაიწყო 1 თებერვლიდან
ჩაწერა სად. 4—8 ს-მდე მიხეილის პრ. № 132. 0—8

**დღეს კინემატოგრაფებში:**

აპოლო

დიდი იუმორის საღამო.
მხოლოდ სამი დღე 13, 14 და 15 თებერვალს
ყველას საყვარელი მაქსი ლინდერი ცოცხალია
**„მაქსი დალაქი"**
ორიგინალური მხატვრული დადგმა „ური მზე".

კინო პალასი

დღეს უკანასკნელად გრანდიოზული და არ-ნახულის დადგმის დასაწყისი 1, 2, 3 ეპიზოდი (ძირა და მტრედი, ვეფხვის თვალი და იქვია ნობა) პირველი ახლად მიღებულ ცნობილ ამერიკულ ფილმებიდან:
გრანდიოზული კინო-რომანა **მძულვარების სახლი**
12 ეპიზოდი (24 ნაწილად)
ცნობილ კინო-არტისტების
**უაიტისა და ანტონიო მორენოს** მონაწილეობით
ანონსი. ხვალ გაგრძელება ეპიზოდები: 4, 5, 6.

ფილმა კინო-თეატრი [illegible] ქუჩა № 3.

მხატვრული დადგმა
**მახარებელი**
დრამა 3 აქტად
**„მედარმა შესვა"**
ანონსი: ახლო მომავალში დაიდგმება „ვამპირი".

ყოველ თვიური ჟურნალი
**„შვილდოსანი"** № 1.
გრიგოლ რობაქიძე ფრანგ პოეტს.
ტიციან ტაბიძე—ღვდელი და მალარია.
პაოლო იაშვილი—ალი არსენიშვილს.
ვალერიან გაფრინდაშვილი—საფერფლე.
კოლაუ ნადირაძე—საქორწინო მოგზაურობა მთვარესთან.
რაჟდენ გვეტაძე—სასაფლაო და ყვავები.
შალვა აფხაიძე—ღვთისმშობელი პროსპექტზე.
ნიკოლოზ მიწიშვილი—დეკემბრის აგონია.
ნიკო ლორთქიფანიძე—ჩარდაში.
დია ჩიანელი—საუკუნეთა ორლობეში.
ტიციან ტაბიძე—დაისრული სებასტიანე.
ვალერიან გაფრინდაშვილი—რითმა და ასონანსი.
კოლაუ ნადირაძე—ქართული პოეზია.
შალვა აფხაიძე—ლიტერატურული პროფილები.
რედაქტორი სანდრო ცირეკიძე.
იყიდება კანტორა „განათლებაში" და კაფე „დარბაზის" წინ.
ფასი 30 მან.

**კინემო მინიონი**

ბარიათინის ქ. რუსთაველის პრ. კუთხე.
თებერვლის 11, 12, 13 და 14-ს
პირველად თბილისში
„BLANC ET NOIR"
**ორგუნებოვანი ადამიანი**
პსიხოლოგიური დრამა 6 დიდ ნაწილად
მონაწილეობენ: ვარშავის და მოსკოვის თეატრების მსახიობნი ვანდა ოსტროვი და დ. ბუხოვეცკი.
სურათი გადაღებულია 1919 წ. ზაფხულში ქ. ვარშავაში

## საზღვრის დაკეტვისათვის

ბოლშევიკების მოახლოვებამ საქართველოსკენ აუარებელი ხალხი დასძრა. გამორბიან ოდესიდან და შავი ზღვის სხვა სანაპირო ქალაქებიდან, გამორბიან კავკავიდან. თბილისი სამოთხეაო,— ხმაა გავრცელებული და ყველა ამ სამოთხისკენ გამორბის. დიდი ტალღაა მოსალოდნელი კავკავიდან, რომელსაც ბოლშევიკები ემუქრებიან. რანაირი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება ამ უცხოთა იმმიგრაციის საკითხისადმი. თბილისი ისედაც ხალხითაა გატენილი. სიძვირე დღითი დღე მატულობს; პირველ საჭიროების საგნები უფრო და უფრო იშვიათი ხდება. შემოხიზნულთა შორის ბევრია ისეთი, რომელიც ჩვენს მდგომარეობას ექსპლოატაციას უკეთებს და სპეკულიაციას აწარმოებს. ასეთი მდგომარეობა მეტად სამძიმო იყო, მერე აუტანელი შეიქმნა. ამას გამოეხმაურა დამფუძნებელი კრება, რომელმაც ამ ორი თვის წინ მიიღო დეკრეტი თბილისის გაწმენდის შესახებ. მას აქეთ მდგომარეობა უფრო გართულდა, კიდევ მეტი ხალხი შეემატა თბილისს, ცხოვრება კიდევ უფრო გაძვირდა. ამასთან, ერთად პოლიტიკური მდგომარეობაც შეიცვალა; ბოლშევიზმი ჩვენი ქვეყნის საზღვრებს დაუახლოვდა და მომენტიც უფრო ხელსაყრელი შეიქმნა საგიონტეროთ იმ ელემენტებისთვის რომელნიც საქართველოში სცხოვრობენ და საქართველოს ებრძვიან.

ასეთ პირობებში ძველი შეცდომა ძალში დავსტოვოთ და განვაგრძოთ ღია კარების პოლიტიკა, თუ პირიქით, დავკეტოთ ჩვენი ქვეყნის საზღვრები და ისეთი ხალხი არ შემოუშვათ რომელსაც თავის მთავრობისგან არ ექნება სათანადო რეკომენდაცია და საქართველოსთან საქმიან დამოკიდებულების მოწმობა. ამ მსოფლიო ომისა და ანარქიის დროს ყოველგან იყო მიღებული თავდაცვის ეს სისტემა, როგორც შინაურ წესიერების დასაზღვევად, ისე ზედმეტი სასურსათო სიმწვავის თავიდან ასაცილებლად.

გვეყო, რაც აქამდის სიბრიყვე და უდარდელობა ჩავიდინეთ.

ამ არა ჩვეულებრივ პირობებში, შეუძლებელია ჩვეულებრივი დროის ხალვათობა და სტუმართ-მოყვარეობა ვაწარმოვოთ. ყოველი უცხო პირი, ქართველი კაცის კერძ პურსა სჭამს და მის ლუკმას იუფლებს. ხომ ვხედავთ, რომ ბოლოს და ბოლოს თითქმის ჩვენი სიმინდისა და ხორბლის ამარა ვრჩებით და გასული წელიწადი ისე დავასრულეთ, რომ უცხოეთიდან თითქმის ვერაფერი შემოვიტანეთ. ასეთ პირობებში, როგორ შეგვიძლიან მჭამელთა კიდევ ახალ-ახალი ტალღები შევასიოთ ჩვენს დედა-ქალაქს. ვინც ამ საკითხს დემაგოგიურის საბუთებით არ შეეხება, და არამედ სახელმწიფოებრივ სიფრთხილისა და გამოზოგვის მხრივ, ის დაგვეთანხმება რომ აუცილებელია ჩვენი საზღვრების დაკეტვა. ამასთან ერთად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს თბილისის გაწმენდის საქმეს. შინაგან საქმეთა მინისტრს დამფუძნებელმა კრებამ შუამდგომლობა დაუკმაყოფილა და იგი სათანადო უფლებებით აღჭურვა თბილისის გასაწმენდათ.

ჩვენ ვატყობთ, რომ მიღებული დეკრეტი სამინისტროს წესიერად აღსრულებაში ვერ მოჰყავს სამინისტრო ვერ ამართლებს დამფუძნებელ კრების მინდობილობას. ვნახოთ, როგორ გაიმართლებს თავს ბ-ნი რამიშვილი და მისი სამინისტრო.

საზღვრების დაკეტვა და თბილისის გაწმენდა—აი მომენტის მოთხოვნილება. თუ ადმინისტრატიული აპარატი მართლაც გვაქვს და ყველაფერი ცარიელი ტრაბახობა არაა, ერთიც და მეორეც სათანადო სიძლიერით უნდა ვაწარმოვოთ.

## ბათომის ბრიტანეთის ოკუპაცია

ქვემოთ ჩვენი მკითხველები გაეცნობიან იმ წერილს რომელიც სტამბოლში მყოფ ბრიტანეთის ჯარების ოფიციოზმა, ზემოხსენებულმა სათაურით უძღვნა ბათომის და ბათომის ოლქის საკითხს და ამ მხარის ოკუპაციას ბრიტანეთის ჯარების მიერ. ეს წერილი მთელი თავისი შინაარსით და იმ აზრებით, რომელიც საფუძვლად უდევს მას და იმ სიმართლესთან მეტათ დაშორებული ცნობებით უაღრეს განცვიფრებას იწვევს ჩვენში;

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს თუ რა მნიშვნელობა აქვს ბათომს საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის და როგორ გადაწნულია იგი ჩვენს სასიცოცხლო ინტერესებთან. მთელი ქართველი ერი ღრმად დარწმუნებული არის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას თან უნდა მოჰყვეს ბათომის და ბათომის ოლქის სრული შემოერთებაც თავის დედა სამშობლოსთან და ჩვენ დღეს მხოლოდ ამ აქტის მოლოდინში ვიმყოფებით.

და ასეთს მომენტში, ჩვენთვის განსაკუთრებით გასაკვირია, რომ ინგლისის ჯარის ოფიციოზში ასეთ სტრიქონებს ვკითხულობთ:

„ბათომი უნდა დარჩეს არა დაინტერესებულ სახელმწიფოს პროტექტორატის ქვეშ".

რაშია საქმე? რომელი სახელმწიფოა დაინტერესებული ბათომით? წერილის ავტორის თქმით თურმე აზერბაიჯანს ჰქონია პრეტენზიები მარტო მისთვის რომ ბათომშია მისი ნავთსადენის უკანასკნელი სადგური.

და სომხეთი კიდევ, რომელმაც უნდა მოიპოვოს გამოსავალი ბათომში, ბათომ-ყარსის რკინის გზის ახალი პროექტით?

და საქართველოსთვის ბათომი კი მხოლოდ „მომხიბლველი პორტი" ყოფილა და მეტი არაფერი!

ასეთი დასაბუთება, თუ სხვა რაიმე მოსაზრებით არა, მდგომარეობის სრული უცოდინარობით უნდა ავხსნათ.

ჩვენ გვსურს, რომ ეს სწორედ ასე იყოს, რადგან წარმოუდგენელად მიგვაჩნია, რომ დიდი ბრიტანეთის პასუხისმგებელი ორგანო ასე მოურიდებლად მოექცეს ისეთს საკითხს, რომელიც ესოდენ მწვავეა მთელი ერისათვის;

იმ გონიერი პოლიტიკის მიხედვით, რომელსაც დაადგა დიდი ბრიტანეთის მთავრობა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების და კერძოდ საქართველოს მიმართ, ჩვენ უფლება გვაქვს, ვიფიქროთ, რომ ბათომის საკითხის გადაწყვეტის დროს, ბრიტანეთი იხელმძღვანელებს, როგორც ჩვენი ისტორიული უდაო უფლებებით ამ ქალაქზედ, ისე ჩვენი სასიცოცხლო ინტერესებით, რომელნიც დაჟინებით მოითხოვენ ბათომის მხარის საქართველოსთან შემოერთებას და ამით ჩვენ გზის გახსნას დასავლეთ ევროპისაკენ.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ბრიტანეთის უმაღლესი ოფიციალური წარმომადგენლობა ამიერ-კავკასიაში, რომელიც საკმაოთ გაცნობილია, როგორც დღევანდელ ვითარებასთან, ისე ჩვენს უფლებებთან ბათომის მხარეზედ და მთელი ერის ერთსულოვან მოთხოვნილებასთან, გამოეხმაურება ამ წერილს და თავისი ავტორიტეტული აზრით, გააბათილებს იმ ყალბ შეხედულებას, რომელზედაც არის დამყარებული ქვემოდ მოყვანილი წერილი.

„The Orient Nevs"

## ბრიტანეთის ოკუპაციის შესახებ

სტამბოლს მყოფ ინგლისის ჯარის ოფიციალური გაზეთი „The Orient Nevs" შემდეგ მეთაურ წერილს უძღვნის ბათომის საკითხს:

აზერბაიჯანის და საქართველოს დამოუკიდებლობის de facto-ს ცნობა სრულიად არ შეეხო ბათომის ოლქის საკითხს.

ბათომის ოლქი ამ ჟამადაც ბრიტანეთის ჯარს უკავია.

ბრესტ-ლიტოვის სამარცხვინო ზავის შემდეგ, ბათომზე წამოვიდა ოსმალოს ჯარი და ამ ქალაქიდან ქართველთა ჯარი განსდევნა.

ზავის შეკვრის შემდეგ ეს ქალაქი დაიჭირა ამიერკავკასიის საოკუპაციოდ გამოგზავნილმა ბრიტანეთის ჯარმა. ამ ჟამად ინგლისელებმა დასტოვეს ბაქო და თბილისი და შეჩერდნენ ბათომში და ბათომის ოლქში.

წარსულში, ბათომი წარმოადგენდა ოსმალურ სოფელს რუსების დაპყრობამდის, ბათომში, ყველა ეროვნების ხალხი ცხოვრობდა. იგი იყო მნიშვნელოვანი როგორც ევროპიდან სპარსეთს მიმავალი გზა. ამ ჟამად იგი ბაქოს ნავთსადენის უკანასკნელი პუნქტია და ამ მხრივ მას აქვს დიდი მნიშვნელობა აზერბაიჯანისთვის.

საქართველოსთვის იგი მიმზიდველია როგორც კარგი პორტი, რადგან ქართული პორტი ფოთი მიუდგომელია ღელვის დროს. ამავე დროს იგი უკანასკნელი პუნქტია სომხეთის რკინის გზისა, — (თბილისი — ერევანი) რომლის პროექტი უკვე შემუშავებულია.

# დავით კლდიაშვილის იუბილე

ქართველ მწერალთა კავშირის თაოსნობით კვირას, თებერვლის 15-ს სახელმწიფო თეატრში მხცოვან ბელეტრისტის 30 წლის საუწყებლო და საზოგადო ებრივ მოღვაწეობის იუბილე იმართება. ზეიმის პროგრამა საბოლოოდ ასეა შემუშავებული:

1) ივ. გომართელის მოხსენება იუბილიარის შემოქმედების შესახებ.
2) მილოცვები
3) „დარისპანის გასაჭირი" 1 მოქ. იუბილიარისა. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ ხალხოსნო ქართველი მსახიობნი. 70—6

# დღეს:

ლლოიდ ჯორჯმა პარლამენტში განაცხადა, რომ მოკავშირეებს აღარ შეუძლიანთ ძველი რუსეთის აღდგენა.

ეკატერინოდარში, კისლოვოდსკსა და პიატიგორსკში პანიკაა. დენიკინელები სისწრაფით სცლიან ეკატერინოდარს. ყუბანის ყაზახთა ატამანმა გენ. დენიკინს ყუბანის დაცლა სთხოვა. როსტოვი იწვის.

მილიერანი ლონდონს გაემგზავრა

მილიერანმა განაცხადა: კონსტანტინეპოლზე საერთაშორისო კონტროლი უნდა დაწესდეს.

რეინის ოლქების ევაკუაცია განუსაზღვრელ დრომდის გადაიდო.

—

## წერილები:

მეთაური—საზღვრის დაკეტვისათვის.
ბრიტანიის ოკუპაცია ბათომზე.
აზიის ახალი მდგომარეობა.
ბოლშევიზმი აღმოსავლეთში.
ვასილ წერეთელი—ადგილობრივი თვითმართველობა

ყველა ეს პირობები იმას მეტყველებენ, რომ ბათომში უნდა დარჩეს ისეთ სახელმწიფოს პროტექტორატის ქვეშ, რომელიც არ არის მით დაინტერესებული.

ინგლისელებს, არც მაშინ, როდესაც ქალაქს იჭერდნენ და არც ეხლა არავითარი სარგებლობა არა აქვთ. ბათომის ოლქი, თავის-თავად არ არის მდიდარი. ჩაისა და მანდარინების პლანტაციების და ტყის ექსპლოატაცია რომ წესიერი იყოს, მაშინ რასაკვირველია, ბათომი მადლიანი ადგილი იქნებოდა. მაგრამ ეხლა ეს პლანტაციები ექსპლოატაციისათვის მეტად ნორჩია.

მომავალში ბათომი მნიშვნელოვანი ქალაქი შეიქმნება. ჩვენ ვიცით, რომ რუსები ბათომს თავიანთ ქალაქად სთვლიან, თუმცა ამ ქალაქს არაფერი აქვს საერთო რუსეთის ჰავასთან. რუსეთი ამ ჟამად ისეთს მდგომარეობაშია, რომ ძნელად თუ შესძლებს მასზე თვის უფლებების განხორციელებას და ამიტომ ბათომის მომავლის საკითხი გადაუწყვეტელი უნდა დარჩეს.

ჩვენ ვიცით, რომ ოლქში მრავალია ჩვენით უკმაყოფილო, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ვერვინ შესძლებდა ბათომის ოლქის მართვას ისე, როგორც ბრიტანელები, თუმცა ამით ბრიტანელებს არავითარი სარგებლობა არა აქვთ. პირიქით, მათ ჰხვდებათ ბევრგვარი დაბრკოლებანი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბათომი თითქმის ველური ადგილია, სავსე ველურ ხალხით და ველურ მეზობლებით გარემოცული. ჩვენ რომ გონივრულად ვმართავთ ქალაქს, ამას ის გარემოებაც მოწმობს, რომ ამ ბოლო ხანს ბათომს მრავალი ხალხი მოაწყდა და აქ დასახლების მსურველი ხომ ათასობითაა უწინ თუ ქალაქში 20 ათასი მცხოვრები იყო ამჟამად მათი რიცხვი 80 ათას აღემატება. უნდა ითქვას ისიც, რომ მთელს კავკასიაში იგი ყველაზე მშვიდობიან ადგილად უნდა ჩაითვალოს. ჩვენ შევქმენით ქალაქში ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ყველგან ნამდვილ წესრიგს იცავს. კვირაობით პარკში მუსიკა უკრავს. ჩვენ მიერ მოწყობილ მილიციის წყალობით მთელს ოლქში სრული მყუდროებაა.

შინა ვაჭრობა ყვავის. ქალაქში მშვენიერი ფოსტა და ტელეგრაფი არსებობს. ქალაქი მხოლოდ დაბრკოლებებს უხურსათობაში გრძნობს, რადგან ამ ოლქში პური თითქმის არა მოდის. შარშან ეს გარემოება უფრო საგრძნობი იყო. ჩვენ ყოველივე ღონეს ვხმარობდით, რომ მცხოვრებნი შიმშილს გადაგვერჩინა. მთელს თვეობით ბრიტანეთის ჯარს ეძლეოდა მეოთხედი რაციონისა, რომ ამით სიკვდილისგან ეხსნა დამშეული ლტოლვილები. ბრიტანეთის სარდლობას არ უყვარს კვეხნა თავის ქველმოქმედებაზე ამიტომ ადგილობრივ მცხოვრებლებს მასზე ნაკლები წარმოდგენა ჰქონდა. ბევრი რამ კარგი მოუტანათ მცხოვრებლებს, ყოველ შემთხვევაში ქალაქის ბრიტანეთის ოკუპაციამ თავისი თავი ბრწყინვალედ გაამართლა.

# აზიის ახალი მდგომარეობა

ამ სათაურით ლონდონის გაზეთ „ტაიმს"-ის 19 იანვრის №-ში, შემდეგი ფრიად საყურადღებო მეთაურია მოთავსებული:

„ზავის შეკვრის შემდეგ ჩვენ შეგვეძლიან აზიაში მტკიცე წესრიგის დაცვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ჟამად რუსეთში გამეფებული პოლიტიკური პარტია გაიზიარებს მოკავშირეთა ხელშეკრულების იდეალებს. მაგრამ, რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობა აიძულებს ჩვენს ჯარს კვლავ დროშის ქვეშ დგომას. თუ ჩვენ შევძელით დაგვემყარებია მშვიდობიანი კონსტიტუციური წესრიგი ეგვიპტესა და ინდოეთში, ასევე შეგვეძლო მშვიდობიანი წესრიგის დამყარება აზიაში, თუ იქ იქნებოდა ჩვენი გავლენა, კონტროლი და არ იქნებოდა ჩვენდამი ავი ეთი მტრული განწყობილება. შეუწყნარებელი პოლიტიკური ინტრიგები ჰქმნიან უწესობას და სრულიად არ არჩენენ იმ წყლულებს, რომელთა მორჩენა შეუძლიან მხოლოდ პროგრესიულ პოლიტიკას.

ომმა მთლად შესცვალა ჩვენი სტრატეგიული მდგომარეობა აზიაში. დედოფალ ვიქტორიის დროს ჩვენ ვიყავით ოსმალეთის მოკავშირენი. მაშინ რომ კონსტანტინეპოლს რუსეთი დამუქრებოდა, ჩვენ ადვილად შეგვეძლო მისი დაცვა ზღვიდან, სამაგიეროდ რუსეთს რომ მოემდომა ინდოეთის გაჭრა, ოსმალეთს ყოველთვის შეეძლო დასცემოდა მას კავკასიის მხრიდან, მით უმეტეს, რომ რუსეთი მუდამ მტრულს განწყობილებაში იყო ოსმალეთთან, ასე რომ ყოველივე გამოსვლა ჩვენს წინ რუსეთს მტრულად განწყობილ ქვეყნით უნდა მოეხდინა. ჩვენ რომ არ შეგვძლებოდა წინ აღვდგომოდით რუსეთის ინდოეთისკენ მისწრაფებას, ჩვენ ყოველთვის შეგვეძლო გვეშოვნა აღნიშნულ მოწინააღმდეგის საშუალებით. რასაკვირველია შესაძლებელია რომ ეს უპირატესობანი ჩვენს მხარეზე არ ყოფილიყო. ოსმალეთს შეეძლო ჩვენს მეგობრობის მაგიერ, ძლიერ მტრადაც გაგვხდომოდა, რადგან მაჰმადიანური აზია ჩვენ ყოველთვის ექვით გვეპყრობოდა და ჩვენ ყოველთვის უნდა გვეშინოდეს უნდობელ რუსეთსა და მაჰმადიანურ აზიის შორის მოსალოდნელ კომბინაციებისაგან. რუსეთში რომ ბოლშევიკების მოწინააღმდეგე სამხედრო პარტიამ გაიმარჯვოს, მაშინ რასაკვირველია ჩვენი მდგომარეობა უკეთესი იქნება, რადგან მაშინ იმპერიალისტური განწყობილება გამეფდება ხოლო იმპერიალისტები ჩვენ პატივით უნდა მოგვეპყრნან. მაგრამ საქმე იმაშია, რომ იქ სრულებით სხვა შეხედულებაა ჩვენს სამხედრო მდგომარეობაზე აზიაში. ეხლა მტრულად განწყობილ ბოლშევიკურ თუ მილიტარისტულ რუსეთთან საქმის დაჭერა უფრო სახიფათოა ვიდრე ეს იყო ვიქტორიის დროს. ჩვენ რომ განსაკუთრებული კარგი სტრატეგიული მდგომარეობა გვქონდეს, არ გვექნებოდა სურვილი გაგვეძლიერებია ინდოეთში სამხედრო ძალები. ჩვენ შეგვეძლო მოგვეცადა სანამ რუსული ახალშენები შესწყვეტავდნენ სვლას, რასაც სამხედრო თვალსაზრისით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე იმას, რომ ჩვენ თავს დავესხმოდით რუსეთს ავღანიდან. მაგრამ ჩვენ არ ვიზიარებთ ამ თვალსაზრისს, თუმცა ავღანთან და სპარსეთთან უკვე გვქონდა ორი ომი იმ მიზნით. რომ დაგვემყარებინა მათი დამოუკიდებლობა ჩვენს სუვერენიტეტის ქვეშ. ამაზე ემყარებოდა ის სამხედრო აზრი, რომელმაც შემდგომ გაიმარჯვა, და რომელიც მოითხოვდა ცენტრალ აზიის საქმეებში სამხედრო ჩარევას. მაგრამ ომმა მთლად გამოსცვალა შეხედულება ამ სამხედრო იზოლიაციის შესახებ და მას შემდეგ რაც ჩვენ დავხედით პასუხის-მგებელნი შუამდინარის მიმართ, ყველასათვის ცხადი გახდა რომ ჩვენ ცენტრალ აზიის საქმეებისადმი დიდი ყურადღება არ უნდა მიგვექცივნა. კერძოდ მეწამულ ზღვასა და კასპიის ზღვის შორის ხიდის გადაჭიმვის იდეა მეტად სერიოზულ და სამხედრო მნიშვნელობის იდეად გახდა.

1918 წელს, რუსეთის ომიდან ჩამოშორების შემდეგ დღემდის, ჩვენ აზრადაც არ მოგვსვლია, რომ რუსეთი შესძლებდა ჩვენს წინააღმდეგ გამოსვლას, და ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნდა შეგვენარჩუნებინა მხოლოდ ბაქო და კასპიის მეორე მხარეზე მყოფი ქალაქი კრასნოვოდსკი, რომ წინააღვდგომოდით ოსმალეთ-გერმანეთის ინდოეთის შეჭრას. მაგრამ ეს უფრო პრობლემატიური ხიფათი იყო, რადგან ოსმალეთი ომით იყო დასუსტებული, ხოლო გერმანეთს დასავლეთით ეჭირა ბლოკადა. ეხლა ეს ხიფათი რეალი გახდა. ამიერ-კავკასიის ამბებმა გავლენა მოახდინეს არა მარტო შუამდინარეზე არამედ სპარსეთზედაც, და ვერ ვინ შესძლებდა შუამდინარედან პოზიციის დაცვას თუ იმავე დროს სპარსეთის მხრიდან იგი უზრუნველ ყოფილი არ იქნებოდა, ამ მიმართულებით რუსულ გამოსვლათა შესაძლებლობამ გვაიძულა ჩვენს მეურვეობის ქვეშ მიგვეღო კავკასია და დაგვეცვა ჩრდილო შუა მდინარე და ჩრდილო სპარსეთი.

ჯერ ისევ ომის დროს და უფრო ადრეც ინგლისში გავრცელებული იყო ის აზრი, რომ კონსტანტინეპოლი პირდაპირი გზაა ბერლინში. ასევე სთქვა ლენინმა: ბაქო—მოსული პირდაპირი გზაა ლონდონისკენ.

ორმოცდა ათი წლის წინად ჩვენს ინდოეთის კუს თავი ბაკანში უნდა ემალა, ხოლო დღიდან შუამდინარის შეძენისა, მის თავს რუსეთიდან საფრთხე აღარ ელის და ჩვენ მხოლოდ ვიცავთ მას ახალ დამფარველ ბდგილების შეძენით.

ბოლშევიკურ გამოსვლებს აზიაში შეიძლება მეტად სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდეს ინგლისისათვის და ამ ხიფათის თავიდან აცდენა შეიძლება მხოლოდ სამხედრო ძალთა ორგანიზაციით; მაგრამ, რასაკვირველია არ უნდა ვიფიქროთ რომ ჩვენ აუცილებლივ დიდი ჯარი უნდა გავგზავნოთ ამ ჩვენს ახალ, მეორე ფრონტის ხაზზე. სხვა გამოსავალი არ არის, ჩვენ უნდა გვყვანდეს რეგულიარი ლაშქარი, საკმაო სითადარიგო ჯარით და უნდა ვაწარმოვოთ მოგერიებით—თავდაცვითი კამპანია რუს ბოლშევიკების და ოსმალეთის ნაციონალისტების წინააღმდეგ. ამისათვის ჩვენ უნდა შევაძლებინოთ ჩვენს აზიელ მოკავშირეთ თავდაცვისათვის საჭირო ძალის ორგანიზაცია ჩვენს საექსპედიციო კორპუსის (1160.000 კაც.) დახმარებით.

დრო გვიჩვენებს ამ ღონისძიების მიზანშეწონილობას, როდესაც გვათავისუფლებთ ყოველივე საფრთხისაგან ევროპიულ რუსეთის მხრით. ამ მიზნისთვის კი აუცილებელია ფრონტის ეს მეორე ხაზი. ყოველივე ზემო თქმულიდან, ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ ჩვენ რაც უნდა მოხდეს უნდა განვამტკიცოთ ჩვენი მდგომარეობა აზიაში მტრულ რუსეთის ბოლშევიკების და ოსმალეთის ნაციონალისტების კომბინაციების წინააღმდეგ, რისთვისაც უნდა გამოვიყენოთ ფრონტის მეორე ხაზი. ყველამ იცის, თუ როგორ ვცდილობთ აზიურ რუსეთთან ომის თავიდან აცდენას.

ვიმეორებთ, ჩვენ ჩვენი ჯარი მოვაშორეთ რუსეთს არა მარტო იმიტომ, რომ არ უნდა ჩავრეულიყავით რუსეთის შინაურ საქმეებში, არამედ, იმიტომაც, რომ იგი საჭირო იყო ინდოეთში ჩვენ ძველ და, ზავის შემდეგ, ახლად შეძენილ, ინტერესების დასაცავად. რუსეთიდან გამოყვანილი ლაშქარი უნდა დამდგარიყო ფრონტის მეორე ხაზზე შუამდინარის და ინდოეთის დასაცავად და ამას უნდა შევხედოთ ისე, როგორც წმინდა რუსეთის საშინაო პოლიტიკაში ყოველგვარ ჩარევას გარეშე მდგარ—სამხედრო ღონისძიებას.

## „ტან"-ი ახლად ცნობილ სახელმწიფოთა შესახებ

სტამბოლის გაზეთებს მოჰყავთ გაზ. „ტან"-ის შემდეგი სტრიქონები იმ საშიშროების შესახებ, რომელსაც წარმოადგენს ბოლშევიკური მოძრაობის გავრცელება ევროპისა და აზიისაკენ:

„არ შეიძლება მოკავშირეთა ნება დართონ, რომ ბოლშევიკების თავდასხმით განადგურდეს ის დამოუკიდებლობა, რომლითაც ორ წელიწადზე მეტია ფაქტიურად სარგებლობენ რუსეთის განაპირა ეროვნებანი. ეს პრინციპი ეხება არა მარტო ბალტიის, არამედ კავკასიის ეროვნებათაც, რომელთა არსებობა დიდ საშიშროების ქვეშ იმყოფება ამ ჟამად... ჩვენ კმაყოფილებით შევხვდით ცნობას, რომ უმაღლეს საბჭომ იცნო მათი დამოუკიდებლობა სომხეთის, საქართველოსი და აზერბაიჯანისა. მას შეეძლო აგრეთვე დაემატა მთიელთა სახელმწიფო, რომელსაც უჭირავს ის გზები, რომლითაც ბოლშევიკები ცდებიან შიაღწიონ ამიერ-კავკასიის სხვა სამ სახელმწიფოს.

# უცხოეთი

## სომხეთი

### პოლკ. ჰასკელი ყარსში.

3 თებერვალს ყარსს ესტუმრა პოლკოვნიკი ჰასკელი თავისი ამალით, მინისტრ-თავმჯდომარე ხატისოვი, პარლამენტის წევრნი ტერ-მინასიანი, ს. ხატიანი, მ. არუთუნიანი და მთავარ-სარდალი გენ. ახვერდოვი.

სტუმრებს შეეგებნენ: გუბერნატორი კორღანოვი, ყარსის ჯარების მთავარ სარდალი ფირუმოვი, ქალაქის თავი, საეპარქიო უფროსი, ბერძენთა და მაჰმადიანთა წარმომადგენლები და მრავალი ხალხი. წარმოითქვა მისალმებითი სიტყვები. მაჰმადიანთა წარმომადგენლებმა მოითხოვა, დამოუკიდებლობის აღიარების გამო, ტუსაღების განთავისუფლება.

მინისტრ-თავმჯდომარემ ამაზე განაცხადა, რომ მზადდება ამნისტიის პროექტი. სტუმრებმა ინახულეს ქალაქი და სხვა და სხვა დაწესებულებანი. საღამოთი ქალაქის თვითმართველობის დარბაზში გაიმართა ბანკეტი. ჰასკელმა ამ ბანკეტზე შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა:

„150 წლის წინად ამერიკაც ასეთ მდგომარეობაში იყო, რომელშიაც ეხლა სომხეთია. მე ბედნიერი ვარ რომ ვიმყოფები უფრო ვრცელ სომხეთის სატახტო ქალაქში. მე ვიქნები უფრო ბედნიერი, როდესაც 10 წლის შემდეგ მექნება შეძლება შემოვიდე სომხეთის პორტში და რკინის გზით გავიარო ყარსზე, რომელიც იქნება დიდ სომხეთის სატახტო ქალაქი. მე მოხარული ვარ, რომ ცნობილია რუსულ სომხეთის დამოუკიდებლობა. ბოლოა ის დღე, როდესაც ცნობილი იქნება ოსმალეთის სომხეთის დამოუკიდებლობა და გამოცხადდება გაერთიანებული სომხეთი. ამერიკა აქ არ მოსულა თქვენს მადაროებისა—და კონცესიებისათვის, არამედ იგი მოიყვანა აქ კაცთ მოყვარეობის გრძნობამ. დღეს ამერიკა ჰკვებს 400—500 ათას კაცს სომხეთში, ზრდის 25 ათას ობოლს და ინახავს საავადმყოფოებს სადაც 4 ათასი საწოლია მოწყობილი. თუ ამერიკა მიიღებს სომხეთზე მანდატს, რაც მე ღრმად მწამს, ჩვენ მოვალთ აქ სომხეთის ასაყვავებლად და ჩვენ დავეხმარებით სომხეთს მანამდის სანამ იგი ხალხთა ლიგაში საპატიო ადგილს დაიჭერდეს.

### თურქული პრესა—სომხეთის დამოუკიდებლობაზე

გაზ. „ვაგტ"-ი სომხეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ სწერს: „ჩვენ სიხარულით ვეგებებით სომხეთის დამოუკიდებლობას, რომელსაც სატახტო ქალაქად აქვს ქ. ერევანი და აი უკვე ორი წელია რაც იგი ფაქტიურად დამოუკიდებელ სახელმწიფოთ არსებობს. მართალია სომხობა დღესაც ვერ არის ჩვენთან მეგობრულად განწყობილი მაგრამ უნდა განვაცხადოთ რომ სომხეთის ხალხი—ნიჭიერი ხალხია. დასახლებულ სომხებისთვის საჭირო იყო ეროვნული დამოუკიდებელი სახელმწიფო. სომხებს დიდი ხანია არ უნდოდათ თავიანთი ტერიტორიის შემოფარგლა და ოცნებობდნენ დიდ სომხეთზე, რომლის საზღვრები გაიწოდნენ შავი ზღვიდან—ხმელთა შუა ზღვამდე. ამერიკის და ევროპის ოფიციალური წრეები ჯერ ილებდნენ სომხეთის პრეტენზიებს, მაგრამ როდესაც გაუწიეს ანგარიში მაშინ შეუძლებლად სცნეს დიდი სომხეთის განხორციელების იდეა.

### სომხებს კილიკიაში შესვლას უკრძალავენ.

თანახმად ცენტრიდან მიღებულ ბრძანებისა, ოლქის ხელის-უფალნი უკრძალავენ სომხებს კილიკიაში შესვლას. ტურანაკერტიდან და ხარბერდიდან გამგზავრებული 200 სომხი ლტოლვილი კილიკიაში არ შეუშვეს.

### ა. აჰარონიანი რომში.

სომხეთის რესპუბლიკის დელეგაციის თავმჯდომარე აჰარონიანი პარიზიდან ქვნევით რომს გაემგზავრა აჰარონიანის მიზანია იტალიის პოლიტიკურ წრეებთან ურთიერთი კავშირი დაიჭიროს.

### სომხეთის კონსული ვენაში.

„აზხატ". გადმოცემით სომხეთის კონსულად ვენაში დანიშნულია ზარეჰ გაზრიელიან.

## რუსეთი

(საქ. დეპ. სააგ.)

### 12 საათის სამუშაო დღე

მოსკოვი 2 თებერვალი. ფრონტის დღემ მთელ საბჭოთა რუსეთში გამოიწვია მუშაობის დღის გადიდება. ჯერ ცალცალკე ქალაქებში გაადიდეს 1—2 საათით, შემდეგ სხვა ქალაქებში. ეს ჩვეულებრივ დროთ გადაიქცა. ჩვენი ტრანსპორტის დაშლის გამო სხვა საშუალება არ არის საბჭოთა რუსეთის მეურნეობის აღსადგენათ. საბჭოთა მთავრობამ თავიდანვე გამოაცხადა 8 საათის სამუშაო დღე. ამ ზომას საბჭოთა რუსეთი სრულიად არ უარყოფს, მაგრამ რომ განვამტკიცოთ ეს, აუცილებელია ეხლა მუშაობა, უნდა ვიმუშაოთ რამდენი ძალაც გვაქვს, რომ საბჭოთა რუსეთის დიდი შენობა იქნეს წითელი, ფართე და ყველა მშრომელისათვის გამოსადეგი. დეე, ეხლა ამ ნგრევის დღეებში, ამ შავ სამუშაო დღეებში მუშებმა შეგნებულად დაანებონ 8 საათის მუშაობას თავი და იმუშაონ 10-12 საათი.

### ეკატერინოდარ-კისლოვოდსკ-პიატიგორსკის მდგომარეობა

გამოქცეული დენიკინელები გადმოგვცემენ, რომ ეკატერინოდარში, კისლოვოდსკში და პიატიგორსკში, სადაც ბურჟუაზია თავის შრომის შემდეგ ჩვეულის დასვენებას, ამ ჟამად პანიკაა. იქ მოელიან წითელ ჯარს, ამიტომ ბურჟუაზია აჩქარით ქალაქს სტოვებს. ეკატერინოდარი მალე დაეცემა. დენიკინელები სიჩქარით სცლიან ეკატერინოდარს. ამათ ხელს უშლიან დაწყებული აჯანყებები. ქალაქში პანიკაა, ტრამვაის მოძრაობა შეჩერებულია. დენიკინს ყუბანიდან ერეკებიან. დენიკიდან გამოქცეულები გადმოგვცემენ, რომ ყუბანის ყაზახთა ატამანმა უთხრა დენიკინს: „შენ დაგვიცალე თავისუფალი ყუბანი, შენ აქ არა ხარ ბატონი". როსტოვში, წითელი ჯარის შემოსვლის შემდეგ ცეცხლი დაიწყო. ცეცხლს აჩენენ დარჩენილი მიმამული თეთრები. დონეცის ოლქის მადაროების მეპატრონეები მიიმალნენ. მუშები უტანისამოსოთ და უსაქმოთ დარჩნენ.

### უპარტიო გლეხთა კონფერენცია.

ბელორუსეთის უპარტიო გლეხთა კონფერენციამ დაადგინა: გააძლიერონ ქარხნების საჭირო მასალით დაკმაყოფილება, განამტკიცონ კავშირი ქარხანასა და სოფელს შორის და წინადადება მისცენ მუშებს ასწიონ შრომის ნაყოფიერება.

### ყაზახთა ყრილობა.

სრულიად რუსეთის მშრომელ ყაზახობის ყრილობა 25 თებერვლისათვის გადაიდო.

### ამერიკელები ციმბირში.

მოსკოვი (გაგრძელება) ამერიკელები, რომელნიც ციმბირის რკინის გზით მოვიდნენ, ვლადივოსტოკში მიდიან. ამერიკის მისიაც ხარბინში მიდის.

### სამხედრო ცნობა.

ჩრდილოეთ დვინის მიმართულებით მზვერავების შეტაკებაა. ჩუგუევის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა შმიევო აიღო. ნარკის რაიონში ჩვენ მხარეზე 100 გამოქცეული გადმოვიდა. პიტალოვის მიმართულებით და ოსვეისკის რაიონში საარტილერიო სროლაა. მტერი პოლოცკს უშენდა. ოვრუჩის რაიონში მტერი მოულოდნელად თავს დაესხა ოვრუჩს მაგრამ ჩვენმა ჯარმა ქალაქამდე არ მიუშვა და მტერი უკან დახია. სტარო-კონსტანტინოვკას რაიონში დაბა პილიავზე მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ოდესის რაიონში ჩვენმა ცხენოსანმა მდ. დნესტრის მარჯვენა ნაპირზე დაბა მაიაკისთან მტრის რაზმი დაამარცხა. წამოიყვანა ტყვეები ხელში ჩაიგდო ტყვიის მფრქვეველები.

## საფრანგეთი

### ბოლშევიკთა წინააღმდეგ.

(საქ. დეპ. სააგ.)

პარიზის გაზეთების ცნობით, ინგლისის საზღვაო მინისტრი ადმირალი ბიტტი და გენერ. შტაბის უფროსი გენ. ვილსონი პარიზს ჩამოვიდნენ, რათა ლლოიდ ჯორჯთან საფრანგეთის მთავრობასთან ერთად გამონახონ ღონე, მაჰმადიან ხალხთა შორის ბოლშევიკების პროპაგანდის წინააღმდეგ საბრძოლველად.

### ნიველის ჩამოსვლა.

უმაღლეს სამხედრო საბჭოს წევრი გენერალი ნიველი ორშაბათს პარიზში ჩამოვიდა.

### ფინანსთა მინისტრის მარსალის მოხსენება.

სენატის საფინანსო კომისიამ მოისმინა ფინანსთა მინისტრ მარსალის მოხსენება საერთოდ ფინანსიურსა და კერძოთ ხაზინის მდგომარეობაზე.

### დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის არჩევა.

სამშაბათს პოლ დეშანელმა დეპუტატთა პალატის თავმჯდომარისა და ეირისა და ლუარის დეპუტატობის ვალდებულებანი მოიხსნა. პალატამ გადასწყვიტა ხუთშაბათს ახალი თავმჯდომარე ამოირჩიოს.

### მილიერანის ლონდონს გამგზავრება.

მილიერანი და მისი თანამშრომელი მარსალი, ფილიპ ბერტეს მომარაგების სამინისტროს წარმომადგენელი, სამხედრო ექსპერტები, მარშალ ფოში თავის შტაბის უფროს გენერალ ვაიგანის თანხლებით და გენერალი ფრანშე დ. ესპერე, რომელიც აღმოსავლეთსი ჯარების უფროსია, ოთხშაბათ დილით ლონდონში მიემგზავრებიან. მეორეს მხრივ ნიტიმ ღამით შეუჩერებლივ გაიარა პარიზი და ლონდონისაკენ გაეშურა.

### ელზას-ლორენის კომისარი.

ისპანიაში მყოფი საფრანგეთის ელჩი ალაპეტიტი მილიერანის მაგიერ ელზას-ლორენის გენერალურ კომისართ დაინიშნა. მის მოადგილეთ მადრიდში სენტ-ალერი დაინიშნება.

### ემირ ფაიკალის ჩამოსვლა.

ემირ ფაიკალი კაიროდან პარიზში წამოვიდა.

### მაიერის ჩამოსვლა.

მაიერი პარიზში დაბრუნდება ხუთშაბათ დილით.

### პოლიტიკა აღმოსავლეთში.

ოთხშაბათს გარეშე საქმეთა კომისიას მილიერანმა გააცნო საფრანგეთის პოლიტიკა აღმოსავლეთში მან განაცხადა: ფრანგებს კი არ დაუპყრიათ სირია, არამედ მცხოვრებლებმა მოიწვიეს მათი ინტერესების დასაცავად. რაც შეეხება კონსტანტინეპოლს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ საერთაშორისო კონტროლის დაწესება აჯობებს ოსმალეთისათვის მის სრულიად წართმევასო.

## ამერიკა

### შეერთ. შტატების დახმარება.

(საქ. დეპ. სააგ.)

შეერთებულ შტატების მთავრობამ ხელშეკრულება დასდო „კორანტ ტუნდ"-თან ერთ მილლიარდ სესხით, რომელის დანიშნულება არის ეკონომიური და ფინანსიური დახმარება გაუწიონ: პოლონეთს, სომხეთს, ჰუნგრეთს და სხ.

### ბოლშევიკებთან საბრძოლველი კანონი.

ამერიკის სენატს ისე ეშინია ბოლშევიკების, რომ გამოსცა ახალი კანონი ბოლშევიზმთან საბრძოლველათ. ამერიკელმა ვაჭრებმა თავისი სავაჭრო სახლები სიმაგრეებათ გადაიქციეს, რათა თავი დაიცვან იმ შემთხვევაში, თუ მუშათა მოძრაობა დაიწყება.

## სპარსეთი

### გილანის მდგომარეობა.

რეშტიდან გაზეთ „რაად"-ს დეპეშით აუწყებენ: „ქალაქში და მთელს პროვინციაში მშვიდობიანობაა. ზოგიერთები ცდილობდნენ, კუჩუკხანის დამორჩილებასთან ერთად, მღელვარების გამოწვევას. პროვოკაციაში და აგიტაციაში შენიშნული სამი კაცი შეიპყრეს.

ამ რამოდენიმე დღის წინად შეპყრობილი რუსეთიდან სპეციალ მისიით მოსული ბოლშევიკები იმ წამსვე განდევნეს სპარსეთის საზღვრებიდან.

### სპარსეთის ელჩი ბასორში.

სპარსეთის ელჩად ბასორში დანიშნეს გარეშე საქმეთა სამინისტროს საბჭოს ყოფილი წევრი მოაზიდულ ვოზერი.

### საქონლის გაზიდვისთვის.

კავკასიასთან მიმოსვლის შეწყვეტის გამო მრავალი სპარსული საქონელი გაუზიდველი რჩება. ამ ჟამად თავრიზში დაგროვილია მრავალი ბამბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატყლი ტყავი და სხვ. ძლიან ჯულფა-ნახიჩევან-ერევან-ბათომის გზის გახსნის.

ხსენებულ გზის გახსნის შესახებ, კავკასიაში მყოფ სპარსელ მისიას ტელეგრაფით ეუწყა დაუყოვნებლივ მოლაპარაკების დაწყება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთან.

**ოსმალეთის მომხრე პრესა.**

სპარსული პრესა დიდ ყურადღებას აქცევს ოსმალეთის და აღმოსავლეთის საკითხის მომავალ გადაწყვეტის საკითხს და ენერგიულად იცავს ოსმალეთის ინტერესებს.

**ქუჩუქ-ხანი.**

ქუჩუქ ხანმა იარალი აიყარა. თავისი რაზმი დაშალა და სახლში დაბრუნდა. თითქმის ყველა მხედრები სპარსეთის ჟანდარმერიაში შევიდნენ. ყაზახთა რაზმი რეშტიდან თეირანს დაბრუნდა.

**ოსმალ ოფიცერთა და ატტაშეთა სამსახურში გაწვევა.**

ოსმალეთის მთავრობამ გამოიხმო სპარსეთიდან ყველა ოსმალო ოფიცრები და სამხედრო ატტაშეები.

## პალესტინა

**პალესტინას დასახლება ებრაელებისგან.**

(მოკავშ. მისსიის ცნობა)

ლონდონში სიონისტების ყრილობაზე ჰერმერტ სამუელმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობის თანამოქმედებით პალესტინის ებრაელების მიერ დასახლების საქმე სასურველად არის მოწყობილი.

## ბულგარეთი

**გაფიცვის დასრულება.**

ბულგარეთში რკინის გზელთა და ტელეგრაფისტთა გაფიცვა დასრულდა მიმოსვლა რკინის გზაზე აღდგენილია.

## მორავიაში.

ჩეხო-სლოვაკების ჯარმა დაიჭირა რაიონი რაბიბორა და პრუსიელთა ევაკუაცია მოახდინეს.

## ბალფური ევროპის მომავალის შესახებ

(„საქართველოს" თარგმანი).

ბალფურმა ერთი თავის სიტყვაში ევროპის მომავალის შესახებ შემდეგი განაცხადა:

ზავმა ბევრი რამ კარგი მოგვიტანა, მაგრამ არ მოუტანია ის, რის იმედიც გვქონდა. ამისდა მიუხედავად მე მწამს ევროპის მომავალი და დარწმუნებული ვარ, რომ თვით ჩვენ, მოხუცნი, აღარას ვიტყვი ჩვენს ბავშვებზე, მოვესწრებით ევროპის უკეთესს მომავალს და ტრაღიული განცდანი აღარ გამეორდებიან.

ქვეყნის უბედურება არ არის დამოკიდებული არც მეფეებზე, არც მინისტრებზე არც პოლიტიკოსებზე, არც პრესაზე, არამედ იგი დამოკიდებულია კაცის და ქალის პატივმოყვარეობასა და აკვიატებულ აზრებზე. ბალფური ფიქრობს, რომ ცუდ სამსახურს გაუწევენ კაცობრიობას ისინი, ვინც მისდევენ ადვილსა და იაფ-ფასიან კრიტიკას, ვინც ყოველ ჯვარედინზე გაჰკივის, რომ ადამიანის ბუნების გარდაქმნა ყოვლად შეუძლებელია, და რომ წარსულშიც იყო პოლიტიკური ინტერნაციონალური დანაშაულობანი და მომავალში იქნება, ასე რომ უსარგებლოა ყოველივე ცდა კი მათ შემცირებისა და შემსუბუქებისაკენ მიმართული.

ეს არ არის ისტორიის გაკვეთილი. გამოიცვალა ადამიანის ბუნებაც, გამოიცვალა და ჩვენ შეგვიძლიან მოვიგონოთ უამრავი მაგალითები, თვით იდეები დღითი-დღე უფრო კაცობრიულია. რამდენადაც ესა თუ ის ერთვნება უფრო კულტურულია, იმდენად კანონები და წესიერება ადვილად შესასრულებელია და ძნელად რომ მათში ახალი დანაშაულობამ ახალ ძალადობამ იჩინოს თავი.

და თუ ეს შესაძლებელია ერთ რომელიმე ქვეყანაში,—იგივე უნდა შესაძლებელი იქმნეს სხვა ქვეყნებშიც.

## ბოლშევიზმი აღმოსავლეთში

16 იანვრის „ტაიმს"-ში დაბეჭდილია შემდეგი ნახევრად ოფიციალი ცნობა:

„უკვე დასრულებულ ფაქტად უნდა ჩაითვალოს ბოლშევიკების მიერ კასპიის მხარის დაჭერა. ამის გამო კავკასიის მდგომარეობა მეტად გამწვავებულად უნდა ჩაითვალოს. საქართველოსა და აზერბაიჯანში, როგორც მცხოვრებნი, ისე მთავრობანი წინააღმდეგნი არიან ბოლშევიკებისა, მაგრამ მათი შეიარაღებული ძალები არ არის იმდენად საკმარისი, რომ წინ აღუდგნენ იმ თავდასხმას, რომელიც ემუქრებათ მათ ჩრდილოეთიდან, სადაც დენიკინის მარჯვენა ფრთა უკან იწევს, და აღმოსავლეთიდან კასპიის ზღვით. ბაქოში საკმაო ბოლშევიკური ელემენტია, და თუ წითლები გადმოსხდნენ აქ, ეს ელემენტები მათ რიგებში ამოჰყოფენ თავს. დაღესტანი უფრო უმწეო მდგომარეობაშია და შეიძლება იგი მალე იძულებული გახდეს თავის ბედი წითლებს შეუკავშიროს.

მიღებულ ცნობებით ბოლშევიკები განაგრძობენ კასპიის მხარეში ჯარების გადმოყვანას. ჯარები მიჰყავთ ტაშკენტის რკინის გზით. ასხაბადში უკვე მოვიდა მოზრდილი ცხენოსანთ ნაწილი. ახალ ჯარებს სარდლობენ ბოლშევიკების სამსახურში მყოფი ძველი ოფიცრები.

ბოლშევიკებმა წაართვეს მოხალისეებს მრავალი ნავთის სათბობი მასალა და დაიჭირეს ყიზილ-არვათის ნავთით მდიდარი რაიონი. ამით ბოლშევიკებმა შესძლეს რკინისგზის მიმოსვლის გაუმჯობესება. ტაშკენტიდან ასხაბადამდის ტრანსპორტს უნდება 6 დღე. დღეში თითო სამხედრო მატარებელი დადის. თურანის სასურსათო მდგომარეობაც თანდათან უმჯობესდება, რადგან ბოლშევიკებმა სემირეჩინსკის ოლქები დაიპყრეს.

ბოლშევიკები თავიანთ ჯარს თურანში მყოფ სამხედრო ტყვეებით ავსებენ. მათი რიცხვი 37 ათასს უდრის. უმრავლესობა მათ შორის ჰუნგრელია, ყველა მათგანი—თავგადადებული კომუნისტია. ასხაბადში აქვთ რამდენიმე ჯავშნიანი ავტომობილი.

რკინის გზის ჩრდილოეთით ბოლშევიკებმა ჯარის ნაწილები გაგზავნეს ქრასნოვოდსკისკენ.

მიზანი ალბად ციმბირის გაფანტულ ლაშქრის შემოგლაა. გადმოგვცემენ, რომ გერტშიც მოვიდნენ ბოლშევიკები. მათ მოუტანიათ ჰაეროპლანის ნაწილებით, ნავთით და უმავთულო ტელეგრაფით დატვირთული ორი ავტომობილი.

გერტიდან ისინი ყაბულ ყანდაგირისკენ გაემგზავრნენ. მათ თან ახლდნენ ავღანთა ცხენოსანნი. ტაშკენტში ბოლშევიკებმა დახსნეს მრავალი საპროპაგანდო სკოლები, სადაც ასწავლიან აღმოსავლეთის ენებს. აქედან აგენტები დაიგზავნებიან ინდოეთს, ჩინეთს და მაჰმადიანთა ყველა დანარჩენ ქვეყნებში.

ტაშკენტის საბჭომ თავის ერთ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა მთელი თავის ყურადღება ჯერ ინდოეთს მიაქციოს. განზრახული აქვს, რაც შეიძლება მალე დაარსონ აქ პროპაგანდის ცენტრები".

ზემოდ მოყვანილ ცნობების დასასრულ „ტაიმს"-ი აღნიშნავს იმ მნიშვნელობას, რომელიც აქვს მომავალ ბოლშევიკურ საფრთხესთან დაკავშირებით, საქართველოს და აზერბაიჯანის ფაქტიურ დამოუკიდებლობის ცნობას.

„ბათუმი, სწერს გაზეთი, ერთად-ერთი ადგილია ამიერ-კავკასიაში, სადაც ეხლა ბრიტანეთის ჯარი სდგას. იგია პორტი საქართველოსი შავზღვაზე. ბაქო—პორტია და სატახტო ქალაქი აზერბაიჯანის.

საბჭოთა პოლიტიკას აღმოსავლეთში თანდათან ნაყოფი მოაქვს.

დღემდის თურანი იყო ბოლშევიკების მოქმედების მთავარი ბაზა შუა აზიაში. დენიკინის დამარცხება და კასპიის ოლქის დაპყრობა ბოლშევიკების წინაშე ჰშლის ახალ შესაძლებლობას, რომელსაც ბოლშევიკები ალბად მალე გამოიყენებენ.

# ახალი ამბები

## პარტიული ცხოვრება

**გურიის ორგანიზაციები.**

ამ მოკლე ხანში მოხდა ეროვნულ-დემოკრატიული ორგანიზაციების წლიური კრებები გურიაში: ოზურგეთში, ლანჩხუთში, ჩიბათში და სხ. დადგენილ იქნა ამ მოკლე ხანში სამაზრო კონფერენციის მოწვევა. ლანჩხუთში და ჩიბათში ამორჩეულ იქმნა ახალი კომიტეტები.

**ჩიბათის კომიტეტი:**

გრ. სარჯველაძე, მღ. ბარ. ჯორბენაძე, ბუქუ ჯორბენაძე, ბიკო ჰყონია, ნიტიფო ჰყონია, თეოფილე ჰყონია, პლატონ სარჯველაძე, ივლიანე მგელაძე, მ. გალოგრე, დიმ. ლომაძე, იერ. კობახიძე.

**ლანჩხუთის კომიტეტი:**

ბეს. ხომერიკი, თეოფ. სიხარულიძე, გრ. ხუნდაძე, ნიკ. ურუშაძე, ტრიფ ებრალიძე, კირ. ხოფერია, მირიან მორჩაძე, ნესტ. კვეტაშვილი, კოდ. ჟორდანია, ნესტ. ებრალიძე, ილ. ებრალიძე, ს. ჟორდანია, გაბო კვირკველია, მ. ფირცხალაიშვილი, ლაზ. ჯორბენაძე, დომ. ებრალიძე და ნიკოლოზ ურუშაძე.

**სტუდენტთა პარტიული კრება**

კვირას თებერვლის 15-ს დილის 11 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტში მოწვეულია ყველა ფაკულტეტების ეროვნ.-დემოკრატ-სტუდენტთა არაჩვეულებრივი საზოგადო კრება.

მოწვეულია მთავარ-კომიტეტის წევრი ბ-ნი პეტრე სურგულაძე, რომელიც გააკეთებს მოხსენებას საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. მოხსენებებს გააკეთებენ აგრედვე ახალგაზრდათა მთავარ-კომიტეტის წევრი: ნ. დგებუაძე—მომენტის შესახებ და ე. პატარიძე—პარტია და ორგანიზაცია.

დასწრება სავალდებულოა.

დასწრება შეუძლია ტფილისში მყოფ ყველა ერ. დემ. სტუდენტს.

**მთავარ კომიტეტის საორგანიზაციო სექციის სხდომა** დანიშნულია ხვალ შაბათს, საღამოს 7 საათზე მთავარ კომიტეტის ბინაზე. სხდომას პრეზიდიუმის წევრნიც უნდა დაესწრონ.

## მთავრობაში

3 თებ. სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

**მთავრობის სახლის ხარჯთაღრიცხვა**

მთავრობის სახლის დამატებითი ხარჯთაღრიცხვა და გადათვალიერება და ამავე სახლის ცეცხლისაგან დაზარალებულ ნაწილის შეკეთების ხარჯთაღრიცხვის შედგენა და შეერთება ამ ხარჯთაღრიცხვათა დაევალოს კომისიას ინჟ. გურამიშვილის თავმჯდომარეობით.

**მთავრობის სახლის გათბობა-განათების საქმე**

დაევალოს მთავრობის საქმეთა მართველს წარუდგინონ მთავრობას შემდეგი სხდომისთვის ცნობები მთავრობის სახლში დაბინავებულ სამინისტროთა განკარგულებაში გათბობა-განათების არსებულ კრედიტების შესახებ.

**ჯამაგირების მომატება.**

სამხედრო უწყების მოსამსახურეებს გაუდიდდეს ჯამაგირები 25-50 პროც.-მდე და ამ ფარგლებში მოსამსახურეთა ეხლანდელი ჯამაგირების მომატების განსაზღვრა მიენდოს სამხედრო მინისტრს.

**საგარეო საქმეთა მინისტრთან.**

გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრს ბ-ნ გეგეჭკორს წარუდგა გუბერნატორი ნეიტრალურ ზონისა და უკრაინის მისიის წარმომადგენელი.

**საგარეო საქმ. მინისტრ. ამხანაგთან.**

გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრის ამხ. ბ. ქარცივაძეს წარუდგა სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენლის მოადგილე ბ. თუმანოვი.

## სხვა და სხვა ამბები

**სომხეთა შორის ფქვილი შეღავათისთვის.** შეღავათის ღარიბ მცხოვრებთათვის სომხეთა ეროვნულმა საბჭომ გაგზავნა 135 ფუთი ფქვილი, სოფ. დამიანისთვის 50 ფუთი და ხომელისთვის 15 ფუთი.

**მსახიობ ტერგრიგორიანი**

სომხეთა ეროვნულმა საბჭომ დაადგინა გადასცეს მსახიობ ტერგრიგორიანისათვის, როგორც იუბილიარისთვის 3000 მან.

**მოულოდნელი რევიზია**

11 იანვარს სარევიზიო კომისიამ მოულოდნელი რევიზია გაუკეთა ქართულ კლუბის სამზარეულოს, რომელიც ჰიგიენისა და სანიტარიის მხრივ მშვენიერ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

## სასოფლო მეურნეობა

**ინსტრუქტორების დაგზავნა**

მეცხვარე-მესაქონლეთა საბჭომ უკვე დაგზავნა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში თავისი ინსტრუქტორები ადგილობრივ მეცხვარე-მესაქონლეთა ამხანაგობებისა და კავშირების დასაარსებლად.

**მატყლის შესყიდვა**

საბჭო აწარმოებს მოლაპარაკებას ფინანსთა და მომარაგების სამინისტროებთან რომ მატყლის შესყიდვისა და ქექენის საქმეს აწარმოებდენ აღნიშნული სამინისტროები ამ ამხანაგობებისა და კავშირების საშუალებით.

**საქონლის გადაცემა.**

მომარაგების სამინისტრო შეჰპირდა მეცხვარე მესაქონლეთა საბჭოს გადასცეს საბჭოს ავანსის სახით სხვა და სხვა საქონელი.

**იარაღის დარიგება.**

მეცხვარე მესაქონლეთა საბჭო ურიგებს სოფლად სხვა და სხვა სასოფლო სამეურნეო იარაღს.

## მისსიებში

**იტალიის სამოქალაქო მისია**

იტალიის მისსიის ცნობით იტალიის სამოქალაქო მისია უკვე გამოსულა ტარენტოდან 6 იანვარს გემ „სალუნტოზე". სტამბოლში მისულა 9 იანვარს. მისიას ბათომში მოელიან 13 იანვარს. ბათომიდან ეს მისია გაემგზავრება ფოთს, სადაც დაჰყოფს 2 დღეს. ამ მისსიის ბათომში შესახვედრად საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ იგზავნება კაპ. მ. ორბელიანი ხოლო ფოთს ლეიტენანტი შალიკოვი.

## ერობაში

**ერობათა და ქალაქის თვითმართ. მუშათა საპროფესიო ორგანიზაციების წარმომადგ. კონფერენცია**

შეერთებულმა საორგანიზაციო კომისიამ, რომელიც შესდგება ადგილობრივ ტრამვაის, ქალაქის თვითმართველობისა და ერობის მუშა-მოსამსახურეთა კავშირების წარმომადგენლებისაგან,—გადასწყვიტა თებერვლის 25 ს მოიწვიოს საქართველოს რესპუბლიკის ერობათა და ქალაქის თვითმართველობების მუშა-მოსამსახურეთა საპროფესიო ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონფერენცია.

## კრებები.

**საარქეოლოგიო საზოგადოებაში**

დღეს საღამოს 7 საათზე საქართველოს მუზეუმის დარბაზში (ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 10) მოხდება ჩვეულებრივი საჯარო კრება საარქეოლოგიო საზოგადოებისა; მოხსენება—ს. ვ. ტერ-ავეტისიანისა 1917 წელს ჰასან-ყალაში მოთხრილ თაბუთების შესახებ.

## სამხატვრო ქრონიკა.

**ქიმერიონში.** „ქიმერიონის" ახალ პროგრამებში შეტანილია ა. ბუხოვის შარჟი" ევგენი ონეგინ რომელიც პეტროგრადის თეატრის ბი-ბა-ბო„ში იდგმებოდა. ამ პროგრამის გარდა ნ. ევრეინოვი დასდგამს თავის ორ მინიატიურას" ძხიარული სიკვდილი„ და ეტუალების სკოლა"-ს.

**„ღალატი" არტისტიულ თეატრში.** ოთხშაბათს თებერვლის 18-ს ხინო ჩხეიძის მონაწილეობით იდგმება სუმბათაშვილის პიესა "ღალატი."

**დრამატიულ საზოგადოებაში.** დღეს, 13 თებერვლის, სასახლეში, სოც.-ფედ ფრაქციის ოთახში. საღამოს 8 საათზე დანიშნულია დრამ. საზ-ბის გამგეობის სხდომა.

**ქართულ სამუსიკო საზოგადოებაში.** ქართულ სამუსიკო საზოგადოების გამგეობის სხდომა დანიშნულია 13 თებერვალს საღამოს 7 ს.

**მუსიკალურ ინსტრუმენტებზე ქართველ დამკრელთა საყურადღებოთ.** კვირას 15 თებერ. 12 საათზე. მოწვეულია არსებულ ქართველ მომღერალთა კავშირთან ინსტრუმენტალური სექციის წევრთა საერთო კრება ქართულ სამუსიკო საზოგადოების შენობაში პეტრე დიდის ქუჩა № 8.

# თეატრი

**დღეს:**

**სახელმწიფო თეატრში:** „ვერტერ." „ტარტო"-ს დრამა "სიცოცხლის ფასი"

## დ. კლდიაშვილის იუბილე

ცერემონიალი:

1. საღამოს 7 საათ. და 20 წუთზე სასტუმრო „ორიანტიდან" (სადაც იუბილიარისთვის დამზადებულია ბინა) იუბილიარის მოსაყვანათ ავტომობილით გაემგზავრება მწერალთა დელეგაცია რომელშიც საბჭოს მიერ არჩეულნი არიან მწერალთა კავშირის საბჭოს თავმჯდ. კ. მაყაშვილი, საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე ნ. შიუკაშვილი და დამსახურებული მწერალთა შიო არაგვისპირელი და ვასილ ბარნოვი.

2. 7 ნახ. საათზე იუბილიარი მობრძანდება სახელმწიფო თეატრში. მას კარებთან შეეგებება მწერ. კავშ. საბჭოს და საიუბილეო კომისიის წევრნი.

3. 7 სამ-მეოთხედ საათზე დაიწყება ივანე გომართელის მოხსენება დავ. კლდიაშვილის შემოქმედების შესახებ.

4. მოხსენების შემდეგ სცენაზე გაიმართება მწერალთა საზეიმო სხდომა იუბილიარს სცენაზე გამოიყვანს დამსახურებული ქართველი მწერლები და ამ დროს ორკესტრი შეასრულებს ეროვნულ ჰიმნს. საზეიმო სხდომას გახსნის მწერ. კავშ. თავმჯდ. კ. მაყაშვილი და მიართმევს იუბილიარს ადრესს ქართველ მწერალთაგან. შემდეგ დაიწყება მილოცვები.

5 ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება იუბილიარის პიესები „უბედურება" და „დარისპანის გასაჭირი".

6. სახელმწიფო თეატრში ზეიმის დასრულების შემდეგ მწერალთა კავშირის კლუბში „ქიმერიონში" იუბილიარის პატივსაცემათ გაიმართება ბანკეტი.

## მდგომარეობის ბატონებს

გაზეთ „საქართველოს" № 3-ში მოთავსებულია ასლი იმ დეპეშებისა, რომელნიც გაუგზავნიათ შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობას და ზესტაფონის ქალაქის თავს შინაგან საქმეთა მინისტრისთვის, სადაც ისინი „უძვანო პროვოკაციას" უწოდებენ გაზეთ „ივერიის" № 38-ის მეთაურს და არწმუნებენ ბ-ნ მინისტრს, რომ შორაპნის მაზრაში არავითარ თვითნებობას და ძალადობას და არც რომელიმე პოლიტიკურ პარტიის წინააღმდეგ შეუფერებელ მოქმედებას ადგილი არ ჰქონია და არც ექნებაო. შემდეგ ეხებიან ჩემს დაპატიმრებას და ამბობენ: „მას აღმოაჩნდა 3 ვინტოვკა პატრონებითო".

ეს დეპეშები აგებულნი არიან ძველ მეთოდზე: все обстоитъ благополучно. ასე არწმუნებდენ რუსის მოხელეები რუსის მთავრობას, სანამ არ დაიმხვეს. ხოლო დეპეშების მეორე ნახევარს სჭირია ფრჩხილების გახსნა. მათ ავტორებს, თავის მართლებასთან ერთად, სწადიათ ჩრდილი მიაყენონ ჩემს პიროვნებას, ვითომც მე, ცუდი მიზნით, 3 ვინტოვკა და პატრონები დამალული მქონოდეს და მათ აღმოეჩინოთ, რაც სავალდებულო დადგენილების დარღვევაზე უფრო მძიმე დანაშაულია.

ეს რომ ასე ყოფილიყო, იმ ხმაურობის შემდეგ, რაც ატყდა ამ საქმეს, მე ხმას არ ამოვიღებდი, მაგრამ რადგანაც ეს ყოველი ჯურის პრესის საგნათ გახდა და მე არ შემიძლია დავრჩე საზოგადოებაში საეჭვო პიროვნებად, იძულებული ვარ თავი ვიმართლო და ვაცნო ჩვენს მთავრობას და საზოგადოებას საქმის ნამდვილი ვითარება და ისიც, თუ როგორ ასრულებენ ჩვენი მოხელეები კანონსა და ბრძანებას, იმ იმედით, რომ მთავრობა მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას.

მე იმდენი მოქალაქეობრივი გამბედაობა მყოფნის, რომ აღვიარო ჩემი დანაშაული და აღვიარე კიდეც ბ-ნ შინაგან საქმეთა მინისტრისადმი მირთმეულ თხოვნაში, რაც მდგომარეობს იმაში, რომ მე სავალდებულო დადგენილება წაუკითხავი დამრჩა და დროზე თოფები ვერ წარვადგინე. ამისთვის კანონიერ სასჯელსაც უსაყვედუროთ გადავიტანდი, მაგრამ ის მდგომარეობა, რომელიც შექმნა ზესტაფონის განიარაღების დროს, არ შეიძლება მიეწეროს კანონის დარღვევას ან შესრულებას, რასაც ჩვენ ქვევით დავინახავთ.

1917 წელს მუშათა საბჭოდან პარტიული ბიუროსთვის მქონდა ნაღდი ორი „ვინტოვკა", რაზედაც ხელი მოწერილი მაქვს და რაც იციან: გოგიაშვილმა, გოცაძემ, შენგელიაძ და სხვებმაც—მაშინდელმა და ახლანდელმა მეთაურებმა. ბოლო დროს, როცა ბიუროში მუდმივი დარაჯი ვერ შევინახეთ, თოფები წავიღე და სახლში შევინახე. გარდა ამისა მე მქონდა ერთი ავსტრიული ვინტოვკა ჩემი ფულით ნაყიდი 1916 წელს, რომელსაც მე თვითონ ხშირათ ვატარებდი თავის დასაცავათ, რაც იცოდენ ერობის თავმჯდომარემ ბუაჩიძემ, ქალაქის თავმა ჩხეიძემ, მილიციის უფროსის თანაშემწემ, გოცაძემ, შტაბის უფროსმა შენგელიამ და სხვებმაც, ვინც ჩვენს კანტორაში შემოსულა, რადგანაც ის კანტორის კუთხეში იყო მიყუდებული.

1919 წლის ქრისტეშობისათვის 23-ს მე ვიყავი ქიათურაში ბ-ნ ნიკო ნიკოლაძესთან და დავბრუნდი იმავე ღამით. ჩემი არ ყოფნის დროს მოსულან ჩემსას, მოუთხოვიათ იარაღი, რაც მაშინათვე ჩაუბარებიათ. არავითარ ჩხრეკას ადგილი არ ჰქონია. იარაღის წაღების შესახებ სახლში ჩემთვის არაფერი უთქვამენ, რადგანაც იმ დღეს კანტორაში საქმეებს გვიან მოვრჩი და სადილათაც სხვაგან ვიყავი დაპატიჟებული. საღამოს 4 საათზე მოვიდა ჩემთან 2 გვარდიელი და მითხრეს, შტაბში გიბარებენო. მეც ხმის ამოუღებლად გავყევი. მივედით შტაბის კარებთან და როცა მე დავაპირე შტაბში ასვლა, მითხრეს, იქით არ შეიძლება წასვლაო და შემიყვანეს გვარდიელების ყაზარმაში, რომელსაც უკან ჰქონია პატარა ოთახი და იქ დამამწყვდიეს. იქ დამხვდენ ადგილობრივი აფთიაქარი უჩნაძე და მოქალაქე ბარათაშვილი. ყარაულები თავის ადგილზე დადგენ. ვკითხები: რაშია საქმე? მეუბნებიან, არ ვიცითო. ვთხოვე, რომ გამოეხმოთ შტაბის უფროსი შენგელია, ან გოცაძე, ან ერობის თავმჯდომარე ბუაჩიძე, ან ქალაქის თავი ჩხეიძე, მაგრამ უარი მითხრეს. ასეთ გამოურკვეველ მდგომარეობაში ვიყავი, როცა დეპეშა გავგზავნე თბილისში დამფუძნებელ კრების წევრს ასათიანს იმ იმედით, რომ ან იქიდან დამეხმარებოდა, ან ჩამოვიდოდა საქმის გამოსარკვევად.

შემდეგ გამოვკითხე უჩნაძეს და ბარათაშვილს მათი იქ ყოფნის მიზეზი.

უჩნაძემ მითხრა, რომ მე მქონდა ბ-ნ მინისტრის ნებართვით რევოლვერი. შემდეგ ეს რევოლვერი მივყიდე მილიციონერს, რომელსაც აღმოაჩნდა კიდევაც, მაგრამ მაინც დამიჭირეს და აწი რა დამემართება არ ვიციო. ბარათაშვილმა მითხრა, რომ სახლში გამჩხრიკეს და ვერაფერი მიპოვეს, მაგრამ მაინც დამიჭირეს და აქა ვარო.

საღამოს ათი საათი იქნებოდა, რომ შემოვიდა გვარდიელი, მაძლევს ქაღალდს და მეუბნება: მოაწერე ხელიო. როცა ქაღალდი წავიკითხე მხოლოდ მაშინ მივხვდი, რაში იყო საქმე. მე მეგონა, რომ ხელის მოწერით თავდებოდა საქმე და მაშინვე ხელი მოვაწერე. შემდეგ გადის კიდევ ერთი საათი, შემოდის უფროსი გვარდიელი, იძახის ჩემს გვარს და გასცა ბრძანება, რომ მილიციის უფროსის კანცელარიაში წავეყვანე. სამი გვარდიელი წამყვა მილიციის უფროსის კანცელარიაში და როგორც ნამდვილი ტუსაღი ჩემი თავი ჩააბარეს მილიციონერს. მე მეგონა რომ აქ მაინც დამხვდებოდა მილიციის უფროსი ან მისი თანაშემწე, მაგრამ არა. მილიციონერი გამიძღვა წინ და შემიყვანა ბნელ ოთახში, რომლის ფანჯრების მინების მაგივრად თხელი ქაღალდი ჰქონდა აკრული. მილიციონერმა შემოიტანა პატარა ლამპა და ბუხარში ცეცხლი დაანთო, მაგრამ გათბობაზე ფიქრი ზედმეტი იყო, რადგანაც ქარი როგორც გარეთ, შიგნითაც ისე ჰქროდა. მგონია, რომ მილიციონერმა ამით ჩემდამი ერთნაირი პატივისცემა გამოხატა, რადგანაც ჩემ მისვლამდის იქ არც ცეცხლი იყო და არც სინათლე, თუმცა ტუსაღები კი იყვნენ. ბნელ კუთხეში ვილაცები იწვნენ. ერთი მათგანი წამოდგა და მითხრა: „ბატონო უფროსო, შენ მაინც რა გინდა აქაო"? მეწყინა ნაცნობის ნახვა. შევეკითხე: „შენ ვინა ხარ მეთქი", მაგრამ სინათლეზე რომ გამოვიდა, ვიცანი ადგილობრივი ვაჭარი გრიგოლ ნინიკაშვილი, რომელმაც ჩემ შეკითხვაზე მიპასუხა: „გუშინ დილით, ე. ი. ქრისტეშობისთვის 24-ს გამიჩხრიკეს დუქანიც და სახლიც; იარაღს ეძებდენ, მაგრამ რაც არ მქონდა რას მიპოვიდენ. მაინც დამაპატიმრეს გუშინ დღის 2 საათზე, აქ დამამწყვდიეს და აწი რა მომელის არ ვიციო".

იქნებოდა ღამის 12 საათი, როცა მოვიდა მილიციის უფროსი. გამოყვანეს კანცელარიაში, გავიგე საქმის ვითარება და ვსთხოვე განთავისუფლება, მაგრამ არ ჰქნა: კანონი ნებას არ მაძლევსო. როგორც იყო სამაზრო ერობის გამგეობის წევრის მენაღარაშვილის თავდებობით გამიშვა.

მეორე დღეს, ქრისტეშობისთვის 26-ს დილით გავიგე, რომ ჩემს მდგომარეობაში არიან ადგილობრივი ვაჭრები: ლასო ნიორაძე, სამსონ მამალაძე, ნიკოლოზ თუთბერიძე, ვარდენ ბოგვერაძე და ეომიგონ კალატოზი, რომელთა გამოკითხვიდან გამოირკვა შემდეგი: ნიორაძე, მამალაძე და ბოგვერაძესთან რომ მისულან იარაღი მოუთხოვიათ, მაშინათვე, სიტყვის შეუბრუნებლად, გამოუტანიათ და ჩაუბარებიათ. ჩხრეკა არ მოუხდენიათ. თუთბერიძეს, თურმე, გზაზე შეხვდენ და რომ მოუთხოვნიათ რევოლვერი, უპასუხნია, რევოლვერი არა მაქვს; ერთმა ოფიცერმა მოახსენა ვინტოვკა და გამოგიგზავნითო. კიდევაც შეასრულა დაპირება. კალატოზისთვის რომ იარაღი მოუთხოვნიათ, უპასუხნია, აქ არაფერი მაქვს, სოფელში მაქვს რაღაცა სისტემის რევოლვერი, გავგზავნი კაცს, მოვატანინებ და მოგართმევთო. მართლაც, გაუგზავნია კაცი თავის სახლში, სოფ. ზოვრეთში, 15 ვერსის მანძილზეა ზესტაფონიდან, მოუტანინებია დაჟანგული რევოლვერი და ჩაუბარებია.

არსად ჩხრეკა არ მომხდარა. ოქმები კი ყველაზე შედგენილია ვითომ ჩხრეკა მოეხდინათ.

აი, ამას უძახიან იარაღის „აღმოჩენას".

ზესტაფონის განიარაღების სურათი რომ დავასრულოთ, საჭიროა ერთი ფაქტიც მოვიყვანოთ: ქრისტეშობისთვის 26 გაჩხრიკეს ადგილობრივი მოქალაქე, საზოგადო მოღვაწე პედაგოგი, 70 წლის მოხუცი ბესარიონ კელენჯერიძე. იარაღი ვერ უპოვნეს. მხოლოდ ნახეს ლეკური, რომელიც საკუთარი ფულით უყიდია მის შვილს სტუდენტს, როცა ის როგორც მოხალისე მონაწილეობას ღებულობდა საჩხერის ექსპედიციაში ბოლშევიკების წინააღმდეგ. ეს ავადმყოფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცი შეიარაღებულ გვარდიელების შუა ჩაატარეს მთელი ბაზარი დღის 2 საათზე და მიიყვანეს შტაბში.

ქრისტეშობისთვის 27 საღამოს სტუმრები მყავდა. საღამოს 7 საათზე მოვიდა მილიციონერი და მითხრა, რომ მილიციის უფროსი გიბარებსო, შენ წადი და ეხლავე წამოგალმეთქი და ხუთ წუთს შემდეგ წავედი კიდეც. კარებთან მეორე შეიარაღებული მილიციონერი დაეყენებიათ ჩემთვის, რომელიც მილიციის სამმართველოში შემყვა იქ დამხვდნენ ჩემი ამხანაგები. ციხეში გვიპირებდენ გაგზავნას, მაგრამ დიდი ხვეწნის შემდეგ 10000 მან. ჯარიმათ შეგვიცვალეს და ხელწერილი ქვეშ გაგვათავისუფლეს. მეორე დღეს ქალაქის გამგეობამ მოგვცა ფულის შეტანის ვადა ქრისტეშობისთვის 30 დილის 10 საათამდის. სხვა გზა არ იყო. მე და ნიორაძე დანარჩენის მონდობილობით წავედით თბილისში ბ-ნ შინაგან საქმეთა მინისტრთან

ქრისტეშობისთვის 29 ჩვენ მიგვიღო ბ მა მინისტრის ამხანაგმა ჰუჰინაძემ. მოვახსენეთ საქმის გარემოება და ყველას შეგვიმცირა ჯარიმა: მე 2000 მანეთამდის, ნიორაძეს 5000 მანეთამდის და დანარჩენებს კი სამ-სამი ათას მანეთამდის. მე როცა მოვახსენე, რომ ხვალ ათ საათამდი გვაქვს ვადა მეთქი ბ ნმა მინისტრის ამხანაგმა ბრძანა: რაც მოხდა მოხდა, ნუ გეშინიათ, თქვენ წადით, განკარგულებას დეპეშით მოვახდენო. დაიმედებულნი იმ ღამითვე დავბრუნდით. ქრისტეშობისთვის 30-ს დილით ვნახეთ ქალაქის თავი, ვუამბე ყველაფერი და ვითხოვე განკარგულების მიღებამდის საქმე შეეჩერებინა. მე იმ დღეს როგორც საპატიო მსაჯული მიწვეული ვიყავი შორაპნის მაზრის მოსამართლეთა ყრილობის სხდომაზე და იქ წავედი. სხდომა გათავდა საღამოს 4 საათზე. სასამართლოდან რომ გამოვედი, კარებთან შემხვდა მილიციონერი და მითხრა, რომ მილიციის უფროსი გიბარებსო. მე უთხარი, რომ ჯერ ვისადილებ და მერე წამოვალმეთქი. მილიციონერი ცოტა შეყოყმანდა, ალბათ დაბარებული ექნებოდა წაყვანა, მაგრამ როცა გაუმეორე—წავიდა. იმ გარემოებამ, რომ თითქმის სასამართლოს სხდომიდან უნდოდათ ჩემი მოხსნა, ისე ამიშალა ნერვები, რომ ვერაფერი ვჭამე და წავედი მაშინვე მილიციის სამმართველოში, სადაც გამომიცხადეს, რომ მე დაპატიმრებული ვარ; ამოწერეს ქაღალდები, დაუძახეს მილიციონერებს და ციხეში მაგზავნიდენ, მაგრამ დავიბარე ნიორაძე და მის ხელწერილ ქვეშ გამანთავისუფლეს. ქრისტეშობისთვის 31 ს დილით ისევ დაგვიბარეს ყველანი; თუმცა ბევრი ვეშვდერეთ, მაგრამ არაფერი გაგვივიდა; მხოლოდ როგორც იყო დავეჯერეთ ხუთ-ხუთი ათას მანეთს; მეორე ხუთ-ხუთი ათასი მანეთი გვადროვეს 2 იანვრის 12 საათამდის.

იანვრის 2-ს, დილით ადრიან ისევ მილიციონერით გვიბარებენ. აბა ფულები!.. თუმცა 12 საათამდის გვქონდა ვადა, მაგრამ იძულებული გავხდით 10 საათზე წარგვედგინა ფულები. ხუთი ათასი მანეთი წარვადგინეთ და მაშინვე გაატარეს ხაზინაში, თითქოს სულზე უნდა მოუსწრონო, რასაც მოწმობს ის გარემოება, რომ ეს ფულები ჩაწერილია ხაზინის წიგნში 1—3 ნომრით.

მე თბილისიდან მომდის დეპეშა, რომ მინისტრმა განმეორებითი დეპეშა გამოგზავნაო, ვკითხულობ და მეუბნებიან, რომ დეპეშა არ მიგვიღიაო.

იანვრის 4-ს საღამოს გამოგვიცხადეს შინაარსი შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის დეპეშისა №2599, რომელიც მიუღია შორაპნის მაზრის მილიციის უფროსს ქრისტეშობისთვის 31-ს.

ჩემ შეკითხვაზე—სად და როგორ დააგვიანდა ამ დეპეშას, მაზრის მილიციის უფროსმა მითხრა, რომ დეპეშა მივიღე ისეთ დროს, როცა მოსამსახურეები წასული იყვნენ. იანვრის 1-ს მე თვითონ ვნახე ქალაქის მილიციის უფროსი და მისი ამხანაგი, გავაცანი დეპეშის შინაარსს და ვთხოვე, რომ დეპეშის თანახმად მოქცეულიყვნენ.

მაგრამ როგორ შეასრულეს ეს ბრძანება მინისტრისა, ზევით დავინახეთ.

ზემოხსენებული პირები ყველა ეროვნულ-დემოკრატები არიან და ნუ თუ შესაძლებელია, დავარწმუნოთ მკითხველი იმაში, რომ მარტო ეროვნულ დემოკრატებს ჰქონდათ იარაღი და სხვებს არა? ან ნუ თუ ყველა სოციალისტებმა წარადგინეს იარაღი და მარტო ეროვნულ-დემოკრატებმა არა?

არა, ბატონებო! ზესტაფონის „ანარია“ დღესაც შეიარაღებულია. ბევრს სოციალისტს აღმოაჩნდა იარაღი, მაგრამ არც ერთი არ დაუპატიმრებიათ და არც დაუჯარიმებიათ. შეიძლება მაგვითითონ მხოლოდ ერთზე, მაგრამ ის ერთიც გახლავთ შემთხვევის მსხვერპლი—ის მოიყვანეს დასაკითხავად იმ დროს, როდესაც მეც დაპატიმრებული ვიყავი.

ჩემი სუსტი კალმით ვერ შევსძლებ გარდავსცე მკითხველს სავსებით ის სულიერი ტანჯვა, რომელიც მე და ჩემმა ამხანაგებმა იმ დღეებში განვი- [illegible] სანი სოციალისტი. რომელთანაც მე მიმუშავნია, კონტრევოლიუციონერობას ვერ დამწამებს. მე, როგორც ერთი პატარა მუშაკთაგანი ჩვენი პროვინციის ყველა საზოგადო საქმეში შეძლებისადაგვარად მონაწილეობას ვღებულობ და ჩემს პატარა ცოდნას და შრომას არ ვზოგავ—როგორც ხმოსანი სამაზრო ერობის, ქალაქის საბჭოსი და ზესტაფონის თემისა. ნუ თუ მართლა ისეთი მძიმე დანაშაული რომ ჩავიდინე, რომ თუ არ პატივის, ცოტათი მაინც თავაზიანი მოპყრობის ღირსიც არ ვიყავი?

მაგრამ მას შემდეგ, რაც ბ-ნი მინისტრის დეპეშა ზესტაფონში მიღებული იყო 31 ქრისტეშობისთვეს და მეკი 2 იანვარს ფული მაინც გადამახდევინეს, რამდენიც არ უნდა მარწმუნონ, ჩემთვის მაინც აშკარაა, რომ აქ ადგილი ჰქონდა პარტიულს დევნას; ეს იყო ნამდვილი დემონსტრაცია ეროვნულ-დემოკრატების წინააღმდეგ მიმართული—გაასამართლეს გუჯეჯიანი და დაგვაჯარიმეს ჩვენ.

ამაში საზოგადოებაც დარწმუნებულია.

დასასრულ უნდა აღვიაროთ, რომ ბატონთა ზოგიერთ პარტიულ მუშაკებს ძალიან ეძნელებათ „მარატრო ბესპიერობიას“ თამაშის მიტოვება.

დღეს კი საქართველო უფლებრივი სახელმწიფოა.

მ. გვალია.

# კორესპონდენციები

**ქართლი. 1919 წ.**

**საზოგადო მიმოხილვა.**

**სახელმწიფოს მართვა-გამგეობა. კომისარიატები და კომისრები. ერობები.**

მართვა გამგეობა სახელმწიფოსი დემოკრატიული იყო. პარლამენტი ანუ დამფუძნებელი კრება და მთავრობა, მართველ პარტიაი სოციალ დემოკრატიული პარტია ითვლებოდა. ეს პარტია სხვაზე უხუცესი პარტიაა და მეტად მეცადინე ხალხია თავის იდეებისა და თავის თავის გამთავრობებაში, ყოველ ღონისძიებით მცდელი თავის გამტკიცებაში, დამცველი პარტიული დისციპლინისა, ყოველ დაწესებულებაში საზოგადოებებში ბრალიან და უბრალო ყრილობებში ისეთ სა- [illegible] ხენ. რადგან მოძრაობა პირველშივე გურიიდგან და იმერეთიდგან დაიწყო. აი ეს იყო მიზეზი რომ მთელ საქართველოში გაბატონებული მმართველ ადმინისტრატორები, ვაჭრობა-მრეწველობის დაწესებულებებში-მოსამსახურენი. ყველგან,—დიდსა და პატარა საქმეებში ქალაქად სოფლად, და სახელმწიფოს გარეშეც სულ იმერლები იყვნენ, რისთვისაც ერთ დროს საქართველოს მტრების მიერ სააგიტაციოდ გახდა იმერლების წინააღმდეგ ქართლ კახეთში მოწოდება რომელიც მალე იქმნა შეგნებულ ხალხისგან ჩაქრობილი და ამაზე ლაპარაკი მოსპობილი. ბედმა და მათმა მეცადინეობამ საქართველოს მესაჭეობა იმერეთს მიანიჭა. რასაკვირველია, მრავალი მოხელე, კომისარი თუ სხვა ადმინისტრატორი თუ ეკონომისტი გადუხვევდნენ ხოლმე კანონიერებას და ბევრ უკანონობას სჩადიოდნენ—მექრთამეობა, ქურდობა, მოწყობილი თავდასხმა მცხოვრებლებზე, მერე მათი ყასიდათ დევნა, დატუსაღება და მალე განთავისუფლება დამნაშავეთა რომლებიც მუქარით მოდიოდნენ ხალხში, ახალი ბოროტ-მოქმედების ჩასადენათ ხალხს ზიზღს უძრავდნენ ამ ნაირ ადმინისტრაციის წინააღმდეგ და მთავრობის ნდობა, ხალხის თვალში, მცირდებოდა. კაცის კვლა საპატიო ხელობათ გადიქცა. უწინ თუ კაცის მკვლელს სოფელში აღარ ატარებდნენ, ეხლა მათ სუფრაზე თავს დასვამდნენ. ხშირი იყო თვით კომისრებისგანაც და მილიციონერებისგანაც კაცის კვლა, რომელსაც უცაბედობაში ამართლებდნენ და მერე სხვა უდიდეს ადგილზე გადაჰყავდა. რაიმე მძიმე დანაშაულისთვის რომ დაატუსაღებდნენ დამნაშავენთ. მათ წინდაწინ სიკვდილის განაჩენი ჰქონდათ დადგენილი, და თავს მარტო სამასი თუმნის შეტანით კომისარიატში გადაარჩენდა, ეს გარემოება ცნობილი იყო თვით მთავრობაშიც. კომისრების მოქმედება შესანიშნავი იყო თითქმის ყველა ქართლელი კომისრები ერთმანეთის ნათესავები იყვნენ და ყველგან ერთნაირი მოქმედება იყო როგორც ყაჩაღობისა ისე მათი დევნისა. კომისრები ყველგან ხმა მაღლა ლაპარაკობდნენ, ესა და ეს ყაჩაღი დავატუსაღეთ, ესენი და ესენი ერთად დავხვრიტეთ და ხნულებში ჩავმარხეთ. ამ და ამ ცნობილ ყაჩაღთან სროლა გვქონდა და მოვკალით. ამა და ამ ძველ ციხე-ეკლესიებში ყაჩაღთა ბრბო შევიმწყვდიეთ და ალყა შემოვარტყით და აგერ-აგერ ყველას დავატუსაღებთ და დავხვრეტთ, ნაცარცვს ისევ პატრონებს დავუბრუნებთ და მრავალი ასეთი.. მაგრამ ყველა ის ყაჩაღები ისევ ხალხში დადიოდნენ და ხალხს შიშის ზარსა სცემდნენ. რას ინაღვლებდნენ სამასი თუმნის გაღებას. მინდა ერთი მაგალითი მოვიყვანო: ერთ კომისარიატში შემოვიდა კომისართან ერთი დღე დღიზე მოსალოგინებელი ახალგაზდა რუსის ქალი. კომისარმა წარბ შეკვრით ჰკითხა რა გინდაო? ჩემი ქმარი სიმთვრალით ქუჩაში ყვიროდა, თქვენ დაგიტუსაღებიათ, გაგიჩხრეკიათ, რევოლვერი ამოსჩენია და დაგიტუსაღებიათ, გთხოვთ გაანთავისუფლოთო. შენი ქმარი ისაა არაო?—დიახ—ჰო და იმას სხვა იარაღიც აღმოაჩნდა, ჩვენ წინააღმდეგობა გაგვიწია. კარგაც მივურტყით და ახლა გორში ვგზავნით იქ მას მიიღებენ მაგრამ იცი რა მოელის? დახვრეტა! ამას ვერ ასცდება—გაიგე? ქალმა ტირილი დაიწყო და მხნედ უთხრა—რათ ხვრეტავთ, სამასი თუმნის საქმე არ არის! მიიღეთ და გამოუშვით.

მოტირალი ქალი მეორე ოთახში გაიყვანეს. კომისრების მექრთამეობაზე ქვეყანა ალაპარაკდა. ყაჩაღობა მეტად მოედო მხარეს, რასაც მერე ბოლშევიკობად ნათლამდნენ. სახლში ფული ვერავის შეენახა. რასაც გაჰყიდდა მცხოვრები სულ საიდუმლოთ ჰყიდდა. და რომ არ იცოდა ფული როგორ შეენახა. ან უნდა ხარი და კამეჩი ეყიდნა, ან დაუსრულებულ სასახლე აეშენებინაო. ამ სიძვირეში, რომ ფული სადმე დაებანდებინა ან და ჩუმათ რომელიმე სპეკულიანტ ვაჭრისთვის მიებარებინა ფული. ხშირად მცარცვავი ხალხიც ვაჭრობასაც ეწეოდა და ამით ყველაფერი იცოდნენ ვინ რის მქონებელი იყო და მერე სცარცვავდნენ.

ერობებმა გამართეს სავაჭრო საწყობები და მაღაზიები. ცდილობენ ყველა სავაჭრო თითონ ჩაიგდონ ხელში. ბევრი საქონელიც აქვთ რომელსაც კოოპერატივთა კავშირებს ურიგებენ, თვით კოოპერატივებსაც პირდაპირ, მაგრამ ცდილობენ ყველაფერი პირნახულზე ან სხვა სოფლის ნაწარმოებზე გაცვალონ. მათი გამოცემულ საქონელი თითქოს სოფლამდის არც კი აღწევს. მომეტებული ნაწილი სავაჭროსი ურიგდებოდათ თვით ერობებში მოსამსახურეებს, და სხვა საკულტურო თუ საადმინისტრაციო დაწესებულებებში მოსამსახურე პირთ, როგორც ჩასაცმელ დასახური, ისე გაცვლილი საქონელზე სანოვაგე და სხვა და აი ასე თითქოს მოხელეობის გარეშე მყოფი მიწის მუშა გლეხი რჩებოდა ცარიელი შიშველი ტიტველი უმარილო უნავთო. ნავთი და მეტადრე მარილი, რომელიც აგრე დიდათ ესაჭიროება ხალხს და საქონელს მეტად ძვირად იყიდებოდა, ისიც პირნახულზე გაცვლით და ვისაც არა ჰქონდა პირნახული—ის დიდ გაჭირვებაში ვარდებოდა, კერძო პირი ერობის საწყობებში ვერას იყიდდა ფულზე, ყველზე, ერბოზე და ასეთ ძვირფას სოფლის ნაწარმოებზე მალე. რომელსაც მაშინვე ერობის მოხელეები ინაწილებდნენ ერთმანეთში მატყლ, ტყავი—ერბო, ყველი და სხვა ძღვენლათი იკრიბებოდა ერობების ხელში ბაზარზე გაჭრა და მეტად გაძვირდა მატყლი და ტყავი, რითაც ხალხი წინდა ქალამანს იცვამს. დღეს უკვე სოფლის ბაზრებზე გაურეცხავი მატყლი გირვანქა 80 მანეთზე ავიდა. საქალამნე ტყავი წყვილი ქალამნისთვის 80 მ.—120 მანათზე,—ასეთმა ამ საქონლის სიძვირემ ხალხი, უღარიბესი ხალხი დიდათ შეაწუხა. შკოლები ერობის გამგეობაში არიან. სამრევლო შკოლებიც ერობების ხელში გადავიდა. ბევრი ახალი შკოლაც გაიხსნა. არიან მასწავლებლებიც შკოლაში, მაგრამ სწავლის საქმე მეტად დიდ იშვიათ სოფლებში ნორმალურად მიმდინარეობდა. ზოგან მთელი წელიწადი მასწავლებლები ტყვილად იღებდნენ ჯამაგირს არავისთვის არ უსწავლებიათ, სამოსწავლო ნივთები, ძვირფას პარტები, სურათები დაშლილი განიავებულია.

საკრედიტო ამხანაგობები, ეს დაწესებულებანიც თითქოს ერობების ხელშია. თითქოს არა. თითქოს ერობა ეპატრონება თითქო არა. პატრონი კი არა ჰყავს, და ბევრი მათგანი უმოქმედოთ არიან და ხალხი შეწუხებულია მით რომ იაფ-ფასიანი სესხი ვეღარ გამოუტანია და ვისაც მიბარებული ფული აქვთ ვეღარც მათ გამოუტანიათ.

**ე რ ო ბ ა.**

შემოიღეს ერობა, რომელიც ნელნელა მტკიცდებოდა ყველგან კომისარიატების გვერდით. წინათ თუ ყველა საქმე ადმინისტრატიული, სამოსამართლო, საკულტურო სასულიერო, ყველა—ყველა კომისარს შეეხებოდა ახლა ერობებზე გადადიოდა. კომისარიატებს ხელიდგან ეცლებოდა ბევრი საქმე. ამაზე კომისრები ცოტა არა და ბევრად უკმაყოფილონი რჩებოდნენ. ერობებს უნდა დამორჩილებოდნენ და ეს მორჩილება მათთვის უჩვეული და შეუფერებელი იყო. ნელ-ნელა კომისარიატები გაიწმინდა ძველ ხალხისგან და ახლები დადგნენ, შემდეგ ყველაფერი ერობას ჩაჰბარდა. კომისრის მაგიერად გაჩნდა უფროსი მილიციონერობა. რომელიც თითქოს ემორჩილებიან წვრილ თემებს, თითქოს კიდეც ცალკე დაწესებულებას ექვემდებარებიან, ერობები ასე დაიყო. საგუბერნიო ერობა, სამაზრო ერობა წვრილი ერთეულები ანუ თემები. ახლა წლის ბოლოს გაჩნდა ერობათა კავშირი ანუ ცენტრი თბილისში ყველა ერობებს დიდი უფლებები მიენიჭათ და ერთი მეორის დამოკიდებულებაში არ არიან ფაქტიურად. ყველა თვისით განაგებს. საჩივარი თუ ვისმეს აქვს ერობებზე ანუ თემებზე, მარტო ძმურ ანუ ამხანაგურ რჩევით გააბრუნებინებენ ამა თუ იმ განკარგულებებს მისი უფროსი დაწესებულებები. პირველ ხანებში შარშან, ერობები იყვნენ მოსამართლენიც, ყველა სამართალს ერობები სჭრიდნენ ხოლოთ განაჩენის ამსრულებელი არავინ იყო. მერე შემოვიდა მომრიგებელი სასამართლოები. მოქმედდნენ სასამართლოს ბოქაულები, ნოტარიუსები—ადვოკატები ნელნელა ქართულ ენაზე.

**ხარჯების გაწერა.**

ხარჯების გაწერა, საერობო ხარჯებისა—ერობებს მიენიჭათ ისე როგორც მათ მოენებებათ. რომელი ხარჯები მოუფიქრებლად შეუფერებლად მიაწერეს მცხოვრებთ. ფულის მაგიერად ცდილობენ მცხოვრებთაგან პირნახულის სახით აიღონ.

ა. ლ.

# ადგილობრივი თვითმართველობა

(დასასრული)

რისთვის უნდათ უკიდურესი ცენტრალიზაცია?!

მისთვის, რომ ადგილობრივ პარტიკულარიზმი არ განვითარდესო, გვეუბნებიან.

თვითეული მაზრა დამოუკიდებელ რესპუბლიკად არ უნდა იყოს, დამოუკიდებელი მილიცია არ უნდა ჰყავდესო და სხ.

მაგრამ თვითმმართველობის მიერ არჩეული მილიცია ხომ ცენტრალურ მთავრობას უნდა დაემორჩილოს!

ცენტრალურ მთავრობას ხომ ნება ექნება გადააყენოს მილიციის მოხელენი, რომელთაც არა სიამედოდ მიიჩნევს!

მეტი კიდევ: ცენტრალურ მთავრობას ნება უნდა ჰქონდეს გამოაცხადოს საგანგებო წესები რომელსამე მხარეში და დააყენოს იქ თავისი მოწესრიგენი.

იმავე დროს ადგილობრივ თვითმმართველობას ნება უნდა ჰქონდეს, ჰყავდეს განსაზღვრულ რაოდენობაზე მეტი მილიცია და ჰქონდეს არა ნებადართული იარაღი.

დასასრულ ცენტრალურ მთავრობას ეყოლება საშიშარ ადგილებში რეგულიარული ჯარი.

მაშასადამე, ადგილობრივი თვითმმართველობა ვერ მოახერხებს მილიციის გარდაქმნას ჯარად და სახელმწიფოს მთლიანობის დარღვევას.

დიაღ! კარგად მოწყობილი სახელმწიფო ყოველთვის შესძლებს ადგილობრივი თვითმმართველობის ანტისახელმწიფოებრივი სწრაფვის ალაგმვას.

მეორე მხრით საქართველოს თვითეული მხარე ბევრს მოიგებს, კარგი თვითმმართველობა თუ ექნება. და, როცა თვითეული მხარე აყვავდება, მთელი საქართველოც ხომ აყვავებული იქნება.

იმავე დროს ეკონომიური წარმატება ხელს აალებინებს განაპირა მაზრებს თავ-თავის პარტიკულარულ მიზნებზე.

რა დასაფარავია: საჭიროა თავდარიგი მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად იმ მაზრებში, სადაც უმეტესობა — არა-ქართველობაა მაგრამ, ჯერ ერთი ამისთვის საკმაოა ზევით აღნიშნული ზომები.

და, მეორე, „ვეფხისტყაოსნის“ თქმის არ იყოს: „უხვი აზხსნილსა დაბამს, იგი თვით ების, ვინ ების“. მაშასადამე ამ მხარეს, რომელიც თავისი ბედის კმაყოფილი იქნება, სხვისკენ თვალი აღარ ექნება.

მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია შევქნათ ხსენებული კუთხეების ორგანიული კავშირი საქართველოსთან.

მაშ, თუ საქართველოს კულტურა და განათლება ბიუროკრატიზმის საკურთხევლზე სასხვერპლოდ არ გაგვიმეტებია, ფართო უფლებიანი ადგილობრივი თვითმმართველობანი უნდა შევქმნათ.

ცხადია, მთავრობას უნდა დარჩეს სრული საკანონმდებლო უფლება და კონტროლი სამოსამართლო თუ საადმინისტრაციო.

ცხადია მაშასადამე, რომ ერობის მოქმედება შემოფარგლული იქნება მხოლოდ ადგილობრივი საქმეებით; ერობის მიერ არჩეული მილიცია დაექვემდებარება, როგორც ერობის გამგეობას, აგრეთვე ცენტრალურ ადმინისტრაციას.

ერობის მიერ არჩეული მოსამართლეები დაექვემდებარებიან რესპუბლიკის უმაღლეს სამოსამართლო ორგანოებს.

და ერობის გამგეობა ვალდებული იქნება იმოქმედოს რესპუბლიკის კანონთა ფარგალში, დაემორჩილოს რესპუბლიკის კანონებს.

მაგრამ ერობას უნდა ჰქონდეს უფლება გააკეთოს დამოუკიდებლად საკუთარი საქმეები, მაგალითად, გაიყვანოს გზები, სარწყავი არხები, მოაწყოს სკოლები, სამკურნალოები, საცდელი მინდვრები და სხ.

მაშასადამე ერობა ამ საქმეებს დამოუკიდებლად უნდა აწარმოებდეს, მთავრობას ხელის შეშლის უფლება არ უნდა ჰქონდეს.

მართალი, მთავრობას უნდა ჰქონდეს უფლება დაადვას „ვეტო“ ერობის მ ერ დაწესებულ გადასახადს, მაგრამ მხოლოდ მანამდის, ვიდრე ხალხისადმი შეკითხვა ანუ რეფერენდუმი საკითხს არ გამოარკვევს.

და, თუ რეფერენდუმი მოიწონებს ერობის დადგენილებას, მთავრობამ თავისი „ვეტო“ უკანვე უნდა დაიბრუნოს.

ასეა ინგლისში.

მთავრობასვე უნდა ჰქონდეს უფლება მოსთხოვოს ერობას სახაზინო გადასახადების გადახდევინება და, თუ ერობა მთავრობის მოთხოვნილებას არ აასრულებს, გაგზავნოს დამსჯელი რაზმი.

შვეიცარიაში ცენტრალური მთავრობა იმ კანტონში, რომელიც მის მოთხოვნას არ ასრულებს, დამსჯელ რაზმს აგზავნის.

მაშასადამე ამგვარი წესი დემოკრატიის უფლებას სრულიადაც არ არღვევს.

მაგრამ რისთვის არ არის საჭირო ერობის დამოუკიდებლობა განსაზღვრულ ფარგალში?

მიტომ, რომ, ერობას თუ ეს დამოუკიდებლობა არ ექნება და ყოველი საქმისთვის ნებართვის მიღება დასჭირდება, ვერაფერს ვერ გააკეთებს.

როგორი-და უნდა იქნეს ერობის მოქმედების სარბიელი—თემი თუ მაზრა?

ვფიქრობ, რომ სამაზროსა და სათემო თვითმართველობათა შორის ერთგვარი წონასწორობაა საჭირო.

მთელი ძალა და უფლება რომ სათემო ერობის ხელში გადავიდეს, არ ივარგებს, ვინაიდან ბევრი კულტურული საქმე ისეთია რომ მარტო ერთი თემი ვერ მოერევა კარგად მოწყობილი სამკურნალო, დიდი სანერგე ანუ ხვადაგის მოსაშენებელი დაწესებულება, დიდი გიმნაზიები, დიდი გზატკეცილები, დიდი ხიდები, დიდი სარწყავი არხები, დრენაჟი, მდინარეების ნაპირების გამაგრება და სხ.

შეიძლება სთქვან: ხსენებული საქმეები გააკეთება სათემო ერობათა კავშირს შეუძლიაო.

მართალია სათემო ერობათა კავშირი აუცილებელი იქნება, მაგრამ ამ გვარ კავშირს სრულ უფლებიანი და ძალამოსილი საერთო, ცენტრალური ორგანო არ ეყოლება და მაშასადამე საერთო დიდი საქმის გაკეთება გაუჭირდება.

მეორე მხრით, არც ის ივარგებს, რომ სათემო ერობას საკუთარი ინიციატივა აკლდეს და ცოცხალ მკვდარ, უნიათო დაწესებულებად გადაიქცეს.

მაშასადამე სათემო ერობას თავისი ვიწრო ფარგალში ისეთივე უფლება უნდა ჰქონდეს, როგორც სამაზრო ერობას.

მთავრობის თავმჯდომარის აზრი კი მთელი ძალაუფლება სათემო ერობის ხელში უნდა გადავიდესო, ჩემი ფიქრით, დიდი შეცდომაა.

ვასილ წერეთელი.

რედაქტორი
„სარედაქციო კოლეგია“
გამომცემელი თბ. ვაჭ.-მრ. კომიტეტი


# გზათა დეპარტამენტი

ამით აცხადებს, რომ თანახმად მთავრობის წ. წ. 18 დეკემბრის დადგენილებისა განზრახულია

## ტყიბულის ქვანახშირის გასაღება

გადაეცეს სააგენტოს, რომელსაც ქვა ნახშირი დაეთმობა კერძო პირებზე გასაყიდათ დაწესებულ ფასებზე განსაზღრული პროცენტების დაკლებით. სააგენტო ვალდებული იქნება წელიწადში განსაზღვრული minimum-ი ქვა-ნახშირისა გადიტანოს მაღაროებიდან გასაყიდათ და გაჰყიდოს მხოლოდ გზათა დეპარტამენტის მიერ ნებადართულ ფასებში. ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად საგენტო ვალდებული იქნება წარადგინოს ხაზინაში განსაკუთრებული თანხა, რომელიც ხელშეკრულების ვადის გასვლამდე რჩება ხაზინაში. დაწვრილებითი ცნობები და ხელშეკრულობის პროექტის გაცნობა შეიძლება გზათა დეპარტამენტის კანცელარიაში კვირა-უქმე დღეებში 11—12 ს. საქმის დღეებში-კი ნაშუადღევის 2—3 საათამდე.

იმ პირთ, რომელთაც სურთ საჯარო შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება უნდა შეიტანონ სახაზინო რკინის გზების მთავარ კასაში 50.000 მ. და ამის შესახებ კვიტანციასთან ერთად დახურულ კონვერტში ჩადებულ ბარათით წარმოადგინონ თავისი პირობანი გზათა დეპარტამენტის კანცელარიაში ამა წლის 15 თებერვლამდე, რომელ დღესაც მოხდება შეჯიბრება. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად შეტანილი 50.000 მანეთი უკანვე დაუბრუნდებათ შეჯიბრებაში დამარცხებულთ, ხოლო გამარჯვებულს ჩაეთვლება ხელშეკრულობის უზრუნველ საყოფად ხაზინაში წარსადგენ ბეში.

243 5—5

გზათა დეპარტამენტი


ტფ. სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა, ვაშაშვილის შესახვევი № 4.